ბესიქრა მელია

ლომი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 ივლისი ხუთშაბათი 2012 №157 (13763) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

BELLE გამარჯვება ბიელაში

ტატიშვილი 100-ათასიანის მეოთხედფინალშია

10

ჩვენი ევროპა დღეს იწყება

ფორპედო : აქტობე

გია გეგუჩაძე: ფორპედო გაფრინდება

გოგუას დილა გორშია

... გრიგალაშვილი რაც შეიძლება დიდხანს

4

ვლადიმირ მუხანოვი: ჩვენც გვაქვს პლუსები

მეგალურგი ალბანეთში გამოინრთობა

4 წინასამატჩო

ტეუტა-მეგალურგი

ფოტო-ფაქტი

ყენია ზენიტში ვარჯიშობს

ლევან ყენია (მარჯვნივ)

3

16

პირველად უიმბლდონზე: ფედერერი vs ჯოკოვიჩი

ალბარსელონა

ხორდი უკვე კატალონიაშია

9

● პრესკონფერენცია

გია გეგუჩაძე: ტორპედო აუცილებლად გაფრინდება

05.07. ქუთაისი. ტორპედო. 21:00

ტორპედო (საქართველო) VS აქტობე (ყაზახეთი)

პირდაპირი რეპორტაჟი პირველ არხზე

დღეს უეფას ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში ქუთაისის „ტორპედო ყაზახურ „აქტობეს“ მასპინძლობს. ქუთაისური გუნდი ევროთასებს შვიდწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და ალბათ, გუნდის წინასამატჩო სამზადისზე მასმედიის წარმომადგენელთა უდიდესი ინტერესი ამითაც იყო გამოწვეული. „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე მედიის წინაშე კლუბის პრესატაშე რამაზ ჩხიკვაძესთან და გუნდის კაპიტან დავით გამეზარდაშვილთან ერთად წარსდგა. პრესკონფერენციას „აქტობეს“ წარმომადგენლები და ყაზახი ჟურნალისტიც დაესწრნენ. გია გეგუჩაძემ თავდაპირველად გუნდის მზადების შესახებ ისაუბრა.

- მიხარია, რომ ევროთასებზე ჩვენმა დაბრუნებამ პრესის დიდი ინტერესი გამოიწვია. გუნდში არის ჩვეულებრივი სამუშაო განწყობა. ძალიან საპასუხისმგებლო თამაში გველის. საბედნიეროდ, ტრავმირებულები არ გვყავს და შეხვედრას სრულ მზადყოფნაში ვხვდებით. საზოგადოების მხრიდან მატჩისადმი დიდი ინტერესია და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ გულშემატკივრები გავახაროთ. იმედი გვაქვს, რომ ქომაგი გვერდით დაგვიდგება, სტადიონს გაავსებს და გამარჯვებისთვის ერთად ვიბრძოლებთ.

- „აქტობეს“ შესახებ რას იტყვით. რა დონის გუნდია და როგორ თამაშს უნდა ველოდეთ მისგან?

- ყაზახური გუნდის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ინტერნეტის საშუალებით ვფლობთ. „აქტობეს“ მატჩის ვიდეოჩანაწერიც ვნახეთ და გარკვეული შთაბეჭდილებები შევიქმენით, თუმცა, რა დონის მეტოქესთან გვაქვს საქმე, ეს უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

- ყაზახეთში ჩემპიონატი მიმდინარეობს და „აქტობეც“, შეიძლება ითქვას, რომ ტონუსშია, საქართველოში კი ჯერ სეზონი არ განახლებულა და „ტორპედოს“ სათამაშო პრაქტიკა აკლია. ეს გარემოება მეტოქეს გარკვეულ უპირატესობას ხომ არ აძლევს?

- „აქტობეს“ ამ მხრივ რაღაც უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არა - გადამწყვეტი. ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ და შეხვედრას მომზადებული ვხვდებით. წინასწარ რაც არ უნდა ვთქვათ, გამარჯვებულის ბედი ორრაუნდიან ბრძოლაში გაირკვევა.

- გაქვთ თუ არა მომზადებული ისეთი სიურპრიზი, რითაც მეტოქეს გააკვირვებთ?

- რასაც სხვა გუნდებს ვუმზადებთ, „აქტობესთანაც“ იმავეს ვამზადებთ. ვეცდებით, ჩვენი პლუსები გამოვიყენოთ და გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ.

- ორი წლის წინ „აქტობე“ რუსთავის „ოლიმპს“ დაუპირისპირდა. ეს შეხვედრა თუ ნახეთ და როგორი შთაბეჭდილება დატოვა მაშინ ყაზახურმა გუნდმა?

- სამწუხაროდ, აღნიშნული შეხვედრა არ მინახავს და მაშინდელი „აქტობეს“ შესახებ ვერაფერს ვიტყვი. სამაგიეროდ, გასულ წელს რუსთავის წინააღმდეგ „ირტიშის“ თამაში ვნახე და ყაზახურ ფეხბურთზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა.

- გუნდის ახალწვეულებზე რას იტყვით, როგორ შეეწყვნენ „ტორპედოს“?

- ადაპტაციის პრობლემები არ ჰქონიათ, გუნდს კარგად შეეწყვნენ და იმედი გვაქვს, რომ თავიანთი თამაშით გულშემატკივრებს გაახარებენ.

- „აქტობედან“ რომელიმე ფეხბურთელს ხომ არ გამოარჩევდით?

- ვიცი, რომ გუნდში რამდენიმე ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელია, რომლებსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ, მაგრამ ცალკეული მოთამაშეების გამორჩევა ჩემი ჩვევა არ არის. ვერც ჩემი გუნდიდან გამოვყოფ ვინმეს და ვერც მეტოქედან.

- რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ ხვალინდელ შეხვედრაში?

- გამარჯვებულის ვინაობა ორრაუნდიან ბრძოლაში გაირკვევა და რა თქმა უნდა, ის შედეგი დამაკმაყოფილებს, რომელიც შემდეგ ეტაპზე გაგვიყვანს. პროგნოზის გაკეთება არასწორად მიმაჩნია. რთული ბრძოლა გველის და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, განმეორებითი მატჩის წინ არასასურველ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ.

- „ტორპედო“ მთლიანად ქართველი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ეს გუნდის პოლიტიკაა თუ ლეგიონერების დამატების საშუალებას ფინანსები არ გაძლევთ? - იკითხეს ყაზახმა ჟურნალისტებმა.

- ფინანსები არაფერ შუაშია. ამ ეტაპზე ეს გუნდის პოლიტიკაა. საქართველოში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია და მათ აუცილებლად უნდა მიეცეთ თავის გამოჩენის შანსი. ამ ეტაპზე ლეგიონერების დამატების აუცილებლობას ვერ ვხედავთ, თუმცა სამომავლოდ შესაძლოა ჩვენი შეხედულება შეიცვალოს.

დასასრულს ყაზახი ჟურნალისტები იმითაც დაინტერესდნენ, „ტორპედო“ აქტიუბინსკში ჩვეულებრივი რეისით გაფრინდება თუ ჩარტერით, რაზეც გეგუჩაძემ სიცილით უპასუხა: *„შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ აუცილებლად გავფრინდებით... ყაზახეთში. გადაწყვეტილია, რომ „ტორპედო“ საპასუხო მატჩზე თამაშის წინადღეს ჩარტერული რეისით გაემგზავრება.*

პრესკონფერენციის შემდეგ გია გეგუჩაძემ გუნდი დაახლოებით 50 წუთი მსუბუქად ავარჯიშა. ტრავმირებული **ვახტანგ კვარაცხელიას** გარდა, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და ხვალინდელი მატჩისთვის საბრძოლველად მზად არის.

შეგახსენებთ, რომ „ტორპედო“–„აქტობეს“ შეხვედრა დღეს 21.00 საათზე დაიწყება. მატჩის ბილეთები 4, 5 და 7 ლარი ღირს.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან
ავტორის ფოტოები

● მეტოქე

იმედიანი აქტობე

უეფას ევროპალიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქე ყაზახეთის ოთხგზის ჩემპიონი “აქტობე” გუშინ ჩარტერული რეისით ბათუმის აეროპორტში ჩამოფრინდა და 54-კაციანი დელეგაციით ქუთაისისკენ აიღო გეზი, სადაც სასტუმრო “იმერში” დაბანაკდა. ყაზახებს საქართველოში 5 ჟურნალისტი და ორი ფოტო-რეპორტიორი ჩამოჰყვნენ. სტუმრებს ქუთაისის სტადიონი და გრილი ამინდი მოეწონათ. როგორც „აქტობეს“ პრესატაშე მარატ ჯუმბაევმა გვითხრა, დღეს მატჩზე დასასწრებად თბილისიდან ქუთაისში დაახლოებით 50 ყაზახი გულშემატკივარიც ჩავა. სტუმრების პრესკონფერენცია 19:30 საათზე დაიწყო. “აქტობეს” რუსი მწვრთნელი ვლადიმირ მუხანოვი ჟურნალისტების წინაშე გუნდის კაპიტან სმაკოვთან ერთად წარსდგა. პრესკონფერენცია მარატ ჯუმბაევმა გახსნა, რომელმაც ქართულად სალამო მშვიდობისა გვისურვა და “აქტობეს” წარმატებები გაიხსენა - “აქტობე” ყაზაზეთის ოთხგზის ჩემპიონი, თასის და სუპერთასის მფლობელია. რეგულარულად ვთამაშობთ ევროტურნირებზე... ამის შემდეგ პრესკონფერენცია მუხანოვთან კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

- როგორ მზადყოფნაში ხვდება ევროთასებს “აქტობე”?

- ევროპალიგაზე თამაში ჩვენი გუნდისთვის დიდი პატივია. ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი ეტაპი გავიაროთ. ევროტურნირები ჩვენი გუნდისთვის ერთგვარი საზომიცაა, ვნახავთ, თუ რისი ძალა შეგვწევს ამ ეტაპზე და როგორ ვართ მომზადებული უცხოურ კლუბებთან შეხვედრებისთვის.

- “ტორპედოზე” რას იტყვით, რამდენად გყავთ შესწავლილი მომავალი მეტოქე?

- რომ გითხრათ, “ტორპედო” თავიდან-ბოლომდე შესწავლილი და გაშიფრული გვყავს-თქო, მართალი არ ვიქნები. ქუთაისური გუნდის შესახებ ინფორმაციები სხვადასხვა ნყაროდან მოვიძიეთ და გარკვეული აზრიც ჩამოგვიყალიბდა. რაც ყველაზე საყურადღებოა, “ტორპედო” საკმაოდ ორგანიზებული და დისციპლინირებული გუნდია. მისი მთავარი ძალაც გუნდურ თამაშია.

- ქართული კლუბები ტრადიციულად ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, რას დაუპირისპირებთ მეტოქეს?

- ამას მატჩის მიმდინარეობა გვიჩვენებს. ვამუშავებთ რამდენიმე ტაქტიკურ ვარიანტს და თამაში გვიკარნახებს, თუ რა ხერხს მივმართოთ მეტოქის წინააღმდეგ. უნდა შევეცადოთ, რომ მასპინძლებს საკუთარი პლუსები არ გამოვაყენებინოთ და თამაში ჩვენი კარნახით წარვმართოთ. ასევე ვეცდებით ჩვენს სტილს - კომბინაციურ და გუნდურ თამაშს არ ვუღალატოთ. სერიოზული მეტოქე გვყავს და რთული ბრძოლა გველის.

- სიდელნიკოვი და პრიმუსი დისკვალიფიცირებულები არიან და პირველ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, თუმცა, ისინი გუნდთან ერთად ქუთაისში ვარჯიშობენ...

- სამწუხაროდ, ისინი ხვალინდელ მატჩში ვერ დაგვეხმარებიან. დიდი დანაკლისი გვაქვს, მაგრამ სიდელნიკოვისა და პრიმუსის შემცვლელებს, რომლებიც ძირითადში დასამკვიდრებლად იბრძვიან, თავის გამოჩენის შანსი ეძლევათ. განმეორებით შეხვედრაში კი სიდელნიკოვიც და პრიმუსიც ითამაშებენ.

- გყავთ თუ არა ტრამვირებულები?

- მცირე ტრავმები არის, თუმცა საგანგაშო არაფერია და ხვალ ყველა მწყობრში იქნება.

- რა შედეგი იქნება თქვენთვის დამაკმაყოფილებელი?

- ჩვენი მიზანი შემდეგ ეტაპზე გასვლაა, თუმცა ვიცით, რომ ეს ძალიან რთული იქნება.

- ბოლო წლებში “აქტობე” ევროტურნირებზე სისტემატურად მონაწილეობს და თქვენს ფეხბურთელებს გამოცდილებაც დაუგროვდათ, „ტორპედო“ კი დიდი ხანია ევროთასებზე არ გასულა, ამ მხრივ, ალბათ, გარკვეული უპირატესობა გექნებათ.

- ევროთასებზე თამაშის გამოცდილებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია, ჩვენს გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა, მაგრამ ვინც დავიმატეთ, ისინიც საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელები არიან. ამ მხრივ ალბათ, მეტოქესთან შედარებით მართლაც გვაქვს გარკვეული უპირატესობა.

“აქტობეს” კაპიტანმა სამატ სმაკოვმა რუსთავის „ოლიმპთან“ შარშანწინდელი დაპირისპირება გაიხსენა: “ოლიმპთან” ორმატჩიანი მძიმე დუელი გადავიტანეთ. განსაკუთრებით რუსთავში თამაში გაგვიჭირდა. 0:1 ვაგებდით და რუსთავი მწვავედ გვიტევდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ გავტყდით და ორი მატჩის ჯამში გავიმარჯვეთ. იმ გუნდიდან “აქტობეში” ცოტანი დავრჩით. იმედია, “ტორპედოსთანაც” წარმატებით ვითამაშებთ.

პრესკონფერენციის შემდეგ ყაზახებმა მინდორზე გადაინაცვლეს და მზადება გააჩაღეს. გუშინდელ ვარჯიშში ქუთაისში მყოფმა “აქტობეს “ 19-ვე ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

■ ■ ■

მუხანოვმა საქართველოში შემდეგი მოთამაშეები იახლა: **ანდრეი სიდელნიკოვი, ჯასურ ნარზიკულოვი, სტანისლავ პავლოვი** (სამივე მეკარე); **სამატ სმაკოვი** (კაპიტანი), **სამატ ბადლო, მარატ ხაირულინი, ასლან დარაბაევი, იური ლოგვინენკო, სერგეი ლისენკოვი, ემილ კენჯასარიევი, ანტონ ზემლიანუხინი, ისლამბეგ კუატი, მარატ კურმასევი, თემურ კაპაძე, ალექსანდრე გეინრიხი, მარატ ბიკმაევი, სერგეი კოვალჩუკი, ლუკას ბაიერი, რობერტას პრიმუსი, არუნას კლემიავიჩუსი.**

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

● ევროპის ლიგა. მეტალურგი

05.07. დურესი. ნიკო დოვანა. 22:30

ტეუტა (ალბანეთი) VS მეტალურგი (საქართველო)

რუსთაველები კომფორტულად დაბინავდნენ

რუსთავის „მეტალურგი“ ალბანეთისკენ გუშინ დილით, სტამბული-ტირანას ავიარეისით ჩაფრინდა. ტირანადან ქალაქ დურესამდე 40-კილომეტრიანი მანძილი საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა ავტობუსით დაფარა და სასტუმრო “ტროპიკალ რესორტში” დაბინავდა. როგორც “მეტალურგის” პრესსამსახური გვატყობინებს, გუნდი კარგ პირობებში იმყოფება. საუზმის შემდეგ ფეხბურთელებმა დაისვენეს, საღამოს კი დურესის “ნიკო დოვანას” სტადიონზე ივარჯიშეს. დღეს მატჩი იმავე სტადიონზე გაიმართება. თამაში თბილისის დროით 22 საათსა და 30 წუთზე დაიწყება და მისი პერიპეტიების გაგება მხოლოდ უეფას ოფიციალური ვებგვერდის ტექსტური ტრანსლაციის მეშვეობით შეგვეძლება. შეხვედრის არბიტრი ირლანდიელი **პედრეიგ სატონი** იქნება.

“მეტალურგის” მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** ალბანეთში 18-კაციანი შემადგენლობით ნაიყვანა:

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი;

მცველები: გივი კვარაცხელია, მიხეილ მახვილაძე, გიორგი გავაშელიშვილი, ზვიად ლობჟანიძე, ანზორ სუხიაშვილი, ლაშა ჯაფარიძე, თორნიკე კაკუშაძე;

ნახევარმცველები: ლუკა რაზმაძე, დენის დობროვოლსკი, რევაზ გენაძე, გიორგი თექთურმანიძე, გიორგი მიქაბერიძე, ირაკლი მაისურაძე, გიორგი ქავთარაძე;

თავდამსხმელები: ირაკლი სიხარულიძე, დიმიტრი ტატანაშვილი.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

კლუბები შეჯერდნენ: ეროვნული ჩემპიონატი 10-11 აგვისტოს დაიწყება



გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში კლუბების შეხვედრა გაიმართა

ფოტო: www.gff.ge

დღეს, სფფ-ში ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პროექტის დეტალები და 2012-13 წლების საშეჯიბრო დებულების სამუშაო ვარიანტი კიდევ ერთხელ განიხილეს. შეხვედრა დაგეგმილ დროს დაიწყო და რვა კლუბის წარმომადგენელი გამოცხადდა.

დაგეგმილ შეხვედრაზე კვლავ არ მოვიდა 4 კლუბი - „ჩიხურა“, „დილა“, „ზესტაფონი“ და „მეტალურგი“. ზედიზედ მეორედ, ვერ მოხერხდა 12-ვე კლუბის თავმოყრა, რაც ცოტა არ იყოს და საქმისადმი ზერელე მიდგომისა და სხვა კლუბების მიმართ უპატივცემულობის ნიშანია. ეს სამუშაო შეხვედრები, უპირველესად, კლუბების ინტერესებს, ეროვნული ჩემპიონატის გაძლიერებას ემსახურება... მიმდინარეობს ჯანსაღი კამათი და საბოლოოდ, ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღება ხდება.

შეხვედრის დასაწყისში, სფფ-ის პრეზიდენტმა ისაუბრა უეფას სიახლეებზე და კლუბების წარმომადგენლებს გააცნო კიევში გამართული უეფას აღმასკომის შედეგები.

პირველ საკითხად განხილულ იქნა მომავალი ჩემპიონატის პრემიალური ფონდის გადანაწილების საკითხი (2 მილიონი ლარი). კამათის გარეშე ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ ჩემპიონატის საპრიზო სამეულმა მიიღოს დამსახურებული ჯილდო და პრემია გადაეცეს თასის მფლობელსაც. იყო მოსაზრებაც, რომ ეს თანხა გადანაწილებულიყო სხვა კლუბებზეც, რომლებიც მომავალ ჩემპიონატში დაბალ ადგილებს დაიკავებენ - წახალისებისა და განვითარებაში დახმარების მიზნით.

ხანგრძლივი მსჯელობისა და კამათის შემდეგ, ფოთის „კოლხეთის“ წარმომადგენელმა დააყენა შემდეგი წინადადება: პრემიალური თანხის გადანაწილება მომხდარიყო 9 გუნდზე შემდეგი პრინციპით: საპრიზო სამეულს და თასის მფლობელს მიეღო კუთვნილი ჯილდო - I ადგილი - 500 ათასი ლარი, II ადგილი - 400 ათასი ლარი, III ადგილი - 300 ათასი ლარი; თასის მფლობელს - 100 ათასი ლარი, ფინალისტს - 50 ათასი; სუპერთასის გამარჯვებულს - 50 ათასი; ხოლო დარჩენილი თანხა გადანაწილებულიყო უმაღლესი ლიგის 9 გუნდზე, დაგროვილი ქულებისა და დარჩენილი საპრემიო ფონდის პროცენტული გადაანგარიშების შესაბამისად. ამასთან, პირველი ექვსეულის კოეფიციენტი განისაზღვრა 1-ით, ხოლო მეორე ექვსეულის - 0,5.

საბოლოოდ, სწორედ, ეს ვარიანტი იქნა მოწონებული და მიღებული და დებულებაშიც აუცილებლად დაფიქსირდება.

სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტმა წარმოადგინა უმაღლესი ლიგის 2012-13 წლების სეზონის კალენდრის სამი ვარიანტი, საიდანაც კლუბებმა თავისთვის ყველაზე მისაღები აარჩიეს - პირველი 22 ტური და თასის 1/16 ფინალები ჩატარდება 2012 წლის ბოლომდე. ხოლო დანარჩენი მატჩები სტარტს აიღებს 2013 წლის თებერვლის ბოლოს - მარტის დასაწყისიდან.

თავად ჩემპიონატის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

პირველი ეტაპი: მონაწილეობს 12 გუნდი ორ წრედ (22 ტური)

მეორე ეტაპი: პირველი ექვსეული იბრძვის ჩემპიონობისა და პრიზიორობისთვის (10 ტური)

მეორე ექვსეული - იბრძვის უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის (10 ტური).

სულ 32 ტური.

მეორე ეტაპზე გუნდებს გადაჰყვებათ მოპოვებული შედეგები (ქულა, მოგება და ა.შ)

უმაღლეს ლიგას ავტომატურად ტოვებენ მეორე ექვსეულში 11-12 ადგილზე გასული გუნდები. ხოლო პირველი ლიგიდან ავტომატურად გადმოდიან პირველ და მეორე ადგილზე გასულები.

უმაღლეს ლიგაში მეათე ადგილზე გასული გუნდი, ადგილის შენარჩუნებისთვის ითამაშებს ერთ მატჩს (გადათამაშებას) პირველი ლიგის მესამე ადგილზე გასულ გუნდთან, ნეიტრალურ მოედანზე.

საქართველოს 2012-13 წლების ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღად განისაზღვრა 10-11 აგვისტო. სეზონი კი, 25-26 მაისს დასრულდება (თასის გათამაშების ჩათვლით).

აქვე გეტყვით, რომ უმაღლესი ლიგის კლუბების საწევრო გადასახადთან დაკავშირებით, სფფ პრინციპულ პოზიციას დაიკავებს და 1 აგვისტომდე, ყველა კლუბს მოეთხოვება საწევროს გადახდა, რაც წესისამებრ, წერილობითაც ეცნობებათ.

შეხვედრის ბოლოს, „დინამო“ თბილისმა დააყენა წინადადება, შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელიც, ქვეყნის მასშტაბით, გარკვეული პერიოდულობით შეამონმებს მოედნების სათამაშო მზადყოფნას და მის ხარისხს, რომ მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ის ტრადიციული პრობლემები, რაც თითქმის ყოველ წელს იქმნება-ხოლმე კლიმატის ცვალებადობასთან ერთად.

ბოლნისის „სიონსა“ და მარტვილის „მერანს“, რომელთაც ხშირად ექმნებათ მსგავსი პრობლემები, სფფ-მ გამოსავალის სახით სათამაშოდ შესთავაზა თავისი ვარიანტები, თუკი მათი მინდვრები სათამაშოდ უვარგისი გახდება. ბოლნისს - სფფ-ის ტექნიკური ცენტრი „ბასა“, სადაც უკვე უმაღლესი დონის გასახდელებია მოწყობილი, დამოუკიდებელი შესასვლელებით, მსაჯთა ოთახებითა და უეფას მიერ მოთხოვნილი ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით და „მიხეილ მესხის სახელობის“ სტადიონი. ხოლო „მერანს“ შესთავაზეს ლანჩხუთის, ქუთაისის ან განმუხურის სტადიონები.

ამასთან, მომდევნო შეხვედრაზე კლუბები წარმოადგენენ საკუთარ წინადადებებსა და მოსაზრებებს თავიანთი ახალგაზრდული გუნდების სხვადასხვა ჩემპიონატებში მონაწილეობის მიზნით.

მომდევნო და სავარაუდოდ, დასკვნითი შეხვედრა 16 ივლისს, 12:00 საათზე გაიმართება, სადაც უკვე ყველა პოზიცია შეჯერდება და ჩემპიონატის ახალი დებულებაც სფფ-ის აღმასკომს გადაეგზავნება დასამტკიცებლად.

სფფ-ის პრესსამსახური

● ლეგიონერი

ლევან ყენია (მარჯვნივ) ზენიტის ვარჯიშზე

ყენია ზენიტის ფოტოგრაფის ობიექტივში

სანკტ-პეტერბურგის “ზენიტიცა” და რუსული პრესაც **ლევან ყენიას** ტრანსფერზე რატომღაც, ჯიუტად სდუმან. “ზენიტი” ამჟამად პორტუგალიურ შეკრებაზე იმყოფება და კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ქართველი ნახევარმცველის შესახებ არაფერი წერია. როგორც ჩანს, მიზეზთა გამო, კლუბს ასე ურჩევნია.

ყენია აქამდე არც გუნდის ვარჯიშის ამსახველ ფოტოებში ჩანდა, მაგრამ იგი ერთხელ კადრში მაინც მოხვდა, რაც, ვფიქრობთ, “ზენიტის” “უნებლიე” შეცდომაა.

როგორც ამ ფოტოდან ხედავთ, ლევანი ნამდვილად “ზენიტის” შემადგენლობაში ვარჯიშობს და მისი ტრანსფერის შესახებაც, ოფიციალურად, ალბათ, მალე გამოცხადდება.

ლევან ჯანეზაშვილი

P.S. ცნობილ უცხოურ სტატისტიკურ ვებგვერდებს “ტრანსფერმარკტსა” და “სოკერვეის” ყენია უკვე “ზენიტის” ფეხბურთელად ჰყავს მოხსენიებული.

● სავარაუდო ტრანსფერი

დინამო ესტონელ თავდამსხმელს აკვირდება



ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი

თბილისის “დინამოში” ახალი მოთამაშე ისინჯება: კლუბის ვებგვერდის ცნობით, მთავარი მწვრთნელი **დუშან უჰრინი** ესტონეთის ნაკრების 29 წლის თავდამსხმელს, **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვს** აკვირდება.

ესტონეთის ნაკრებმა ბოლო გამარჯვება 2 ივნისს ლიტვასთან ამხანაგურ შეხვედრაში მისი გოლით მოიპოვეს - 1:0. ვოსკობოინიკოვმა ბოლო სეზონი რუსეთის რანგით მეორე ლიგაში “ხიმკიში” გაატარა.

ვლადიმირ ვოსკობოინიკოვმა “დინამოს” ვებგვერდთან კომენტარი გააკეთა: “პირველი შთაბეჭდილებები ყოველთვის უტყუარია. ბაზა, მწვრთნელი, აქაური გარემო, ყველაფერი უმაღლეს დონეზეა. თბილისის “დინამო” პოსტსაბჭოთა სივრცეში ყოველთვის განსაკუთრებული გუნდი იყო. დიდი სურვილი მაქვს, სინჯვებმა წარმატებით ჩაიაროს. თბილისში პირველად არ ვიმყოფები, აქ მეგობრებიც მყავს და საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც მითამაშია”.

ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი დაიბადა 1983 წლის 2 თებერვალს. სიმაღლე - 188 სმ

საკლუბო კარიერა

2001-2004	ლევადია ტალინი	80	(25)
2004-2006	ბრიუსელი (ბელგია)	8	(0)
2005	ეუპენი (ბელგია)	8	(1)
2006	ლევადია (ტალინი)	8	(4)
2007-2008	ტორპედო (მოსკოვი)	50	(12)
2009	სირიანსკა (ზვედეთი)	17	(2)
2009	ლუჩ-ენერგია (რუს.)	8	(0)
2010	ნეფთჩი ბაკო	9	(1)
2010-2011	ლევადია ტალინი	0	(0)
2011-2012	ხიმკი (რუსეთი)	40	(4)

ესტონეთის ნაკრები

2007- 31 (4)

მერაბ მამულაშვილი

● ტორპედო

მერაბ გიგაურის სამწლიანი კონტრაქტი

დღეს ქუთაისის “ტორპედო” ევროპის ლიგაზე ყაზახურ “აქტობეს” დაუპირისპირდება. ზაფხულის მოსამზადებელ ეტაპამდე ქუთაისელებმა ზოგიერთი მოთამაშე გაუშვეს, ზოგიც დაიმატეს, მერე ავსტრიული შეკრება გაიარეს და მოკლედ, ახალ სეზონს განახლებული შემადგენლობით ეგებებიან.

შევიტყვეთ, რომ “ტორპედოსთან” ახალ სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს პოლონურ “იაგელონიაში” იჯარადამთავრებული **მერაბ გიგაური**.

“იაგელონიას” საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელის გამოსყიდვა სურდა, მაგრამ ქუთაისელთა სატრანსფერო მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ მოახერხა - ქართული მხარე 200 ათას ევროს ითხოვდა.

თუმცა, მიზეზი მხოლოდ ეს არ იყო: “ტორპედოს” მთავარ მწვრთნელს **გია გეგუჩაძეს** განახლებულ გუნდში გიგაურის ხილვაც სურდა.

მერაბ მამულაშვილი

● ფეხბურთი

საქართველომ მალე შეიძლება ასეული დატოვოს

გუშინ ფიფამ მორიგი სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნაა, სადაც ჩვენთვის არცთუ სასიამოვნო სიახლეა - საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც ივნისში მატჩი არ ჩაუტარებია, კიდევ ორი პოზიცია დათმო და ამჟამად მსოფლიოში 97-ეა. დაგვეთანხმებით, საკმაოდ სამწუხარო ფაქტია და თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე ჩვენი ეროვნული გუნდი სულაც ასეულს მიღმა აღმოჩნდება – უცხო არც ეს ვითარებაა.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს, ესპანეთმა, ბუნებრივია, ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა, საფრანგეთი მე-14 ადგილზე დარჩა, ბელარუსი 69-ედან 77-ეზე დაქვეითდა, ხოლო ფინეთი 75-ედან 74-ე საფეხურამდე ავიდა.

აღსანიშნავი კიდევ ის არის, რომ ევროპის ვიცე-ჩემპიონი იტალია ექვსი ადგილით დაწინაურდა, ბრაზილიამ კი საუკეთესო ათეული დატოვა და მხოლოდ მეთერთმეტეა.

რეიტინგის ზეათეულმა ასეთი სახე მიიღო:

1. ესპანეთი
2. გერმანია
3. ურუგვაი
4. ინგლისი
5. პორტუგალია
6. იტალია
7. არგენტინა
8. ჰოლანდია
9. ხორვატია
10. დანია

... 97.საქართველო

ლევან ჯანეზაშვილი

● ფუტსალი

იბერიამ მეტოქეები შეიტყო

გუშინ ნიონში ფუტსალის უეფას თასის (ჩემპიონთა ლიგის) წილისყრა ჩატარდა და ქართული გუნდის, “იბერია სტარის” მეტოქეები გაირკვა.

საქართველოს ჩემპიონი ელიტ რაუნდში გასასვლელად საბერძნეთის ჩემპიონს, “ათენი 90”-ს, “ლიტიასა” და პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულს შეხვდება.

თამაშები სლოვენიაში ჩატარდება.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ფეხბურთი

● ზესტაფონი

კაჭკაჭიშვილი თითქმის გადაწყვეტილია

ხიზანეიშვილს უარყოფენ

"ზესტაფონი" ავსტრიულ შეკრებას განაგრძობს. საქართველოს ჩემპიონს მორიგი საკონტროლო შეხვედრა 7 ივლისს ბუქარესტის "სტიაუასთან" ელის, მანამდე კი **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი წვრთნას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს და **სარეაბილიტაციო პროცედურებს გადის**.

რაც შეეხება კლუბის სატრანსფერო სიახლეებს ("ზესტაფონის" გულშემატკივრებს ყველაზე მეტად რომ აღელვებთ) ფეროელებთან ერთად ავსტრიაშია მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი,** რომელსაც "ზესტაფონთან" კონტრაქტის გაფორმებამდე გარკვეული ფორმალობებიღა აშორებს. სავარაუდოდ, "ზესტაფონმა" და კაჭკაჭიშვილის ამჟამინდელმა კლუბმა "ბათუმმა" შეთანხმებას უნდა მიაღწიონ.

ჩვენი ინფორმაციით, დიდი იყო იმის ალბათობაც, რომ "ზესტაფონის" ფეხბურთელი **ოთარ ხიზანეიშვილი** გამხდარიყო, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ამ ფაქტს გუნდის სამწვრთნელო შტაბში უარყოფენ. შეგახსენებთ, ხიზანეიშვილმა გასული სეზონი თბილისის "დინამოში" ჩაამთავრა.

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს "ზესტაფონის" თითქმის ყველა ფეხბურთელი მწყობრში ხვდება. გამონაკლისია იმერული კლუბის ახალწვეული **ლაშა კალანდაძე**, რომელმაც ტრავმის გამო შეკრება უკვე დაასრულა. მიკროტრავმა აქვს **თორნიკე აფციაურს**, რომელიც ვარჯიშს მალე განაახლებს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ჩემპიონთა ლიგა. მეტოქე

ნეფთჩი ყუბანთან დამარცხდა

ჭიაბრიშვილმა მეტოქე ტრიბუნიდან დაზვერა

ბაქოს "ნეფთჩიმ", რომელიც "ზესტაფონის" მსგავსად, შეკრებაზე ავსტრიაში იმყოფება, მორიგი საკონტროლო მატჩი რუსულ "ყუბანთან" ჩაატარა და 0:2 დამარცხდა. აზერბაიჯანელებმა ორივე გოლი მეორე ტაიმში გაუშვეს.

"ნეფთჩის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **მეხთიევი, მელიქოვი, მიტრესკი, იუნუსზადე, ბერტუჩი, სეიდოვი, სადიღოვი, ვობაი, ფლავინიო, იმამვერდიევი, კანალესი.**

სხვათა შორის, ამ შეხვედრას "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი ჭიაბრიშვილი** დაესწრო, რომელმაც აზერბაიჯანელ ჟურნალისტებთან საუბარში „ნეფთჩის" თამაშს მაღალი შეფასება მისცა.

„ნეფთჩისთან" დაკავშირებით ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ "ზესტაფონის" მეტოქემ მორიგი ფეხბურთელი გადაიბირა – ბაქოელებმა კონტრაქტი 25 წლის პარაგვაელ ნახევარმცველ **ერიკ ფაბიან რამოსს** გაუფორმეს, რომელსაც თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 4 მატჩი აქვს ჩატარებული.

ლევან ჯანეზაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

ჯანელიძე ისრაელში, დარასელიასთან

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ნახევარმცველი **გიორგი ჯანელიძე** ისრაელშია და "ლიგატ ჰა ალის" (უმაღლესი ლიგის) ბეერ შევას "ჰაპოელში" ვარჯიშობს. ამ გუნდს **ელიშა ლევი** ნვრთნის, რომლის ასისტენტიც, ისევე როგორც ჰაიფას "მაკაბიში", **გიორგი დარასელია** არის.

სწორედ დარასელია გახდა „ვიტ ჯორჯიას" კაპიტნის გიორგი ჯანელიძის მიწვევის ინიციატორი. არადა, მცირე ხნის წინ „ლელო" წერდა, რომ ჯანელიძე უკრაინის პრემიერლიგის ლუცკის „ვოლინში" მიწვევას უშედეგოდ ელოდა. როგორც გვითხრა: არავინ დამკავშირებია, „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება და ალბათ, ახალ სეზონს ისევ ამ გუნდში ვითამაშებო.

ვითარება ბოლო მომენტში შეიცვალა, ისრაელში მიიწვიეს და ახლა გუნდთან ერთად ვარჯიშობს: შაბათს ბეერ შევას "ჰაპოელი" საკონტროლო მატჩს ჩაატარებს და ჯანელიძის საკითხიც მაშინ გადაწყდება.

მერაბ მამულაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

გოგუა დილაში 6 თვით ითამაშებს

გრიგალაშვილი? რაც შეიძლება დიდხანს!

თითქმის გადაწყვეტილია, **შოთა გრიგალაშვილი** გორის "დილაში" ითამაშებს: "ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი უკვე ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და "დილას" ფეხბურთელად გამოცხადებას ფორმალური მხარის მოგვარება აშორებს.

ასევე რეალურია, რომ გორელთა შემადგენლობაში ვიხილოთ საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა**, რომლის მიმართ ინტერესსაც კლუბში აღარ მალავენ.

თუმცა, კონტრაქტი ჯერ მხოლოდ გოგუასთან გაფორმდა – უფრო სწორად, ის "დინამოდან" 6-თვიანი იჯარით გადაიყვანეს.

გრიგალაშვილთან ხელშეკრულება კი ჯერ არ გაფორმებულა, რადგან მისი ხანგრძლივი ვადით დამატება სურთ – მოლაპარაკება ამის გამო ვერ დასრულდა, თორემ ფეხბურთელი რომ საქართველოს ჩემპიონატსა და ევროპის ლიგას "დილაში" დაიწყებს, ეს საეჭვო აღარ არის.

ამგვარად, გერმანული სააგენტო "ტრანსფერმარკტის" შეფასებით 550 000 და 1 200 000 ევროდ შეფასებული მოთამაშეების (შესაბამისად, გრიგალაშვილისა და გოგუას) გადაყვანით, ფეხბურთელთა ჯამური ფასით გორის "დილა" პირველად დაწინაურდა საქართველოში ყველაზე ძვირადღირებული შემადგენლობის მქონე კლუბების სიაში, "თბილისის "დინამო" ჩამოიტოვა, ჩვენი გუშინდელი მონაცემი და სამეული კი ასე შეცვალა:

1. **"დილა" — 8 300 000**
2. **"დინამო"– 8 075 000**
3. **"ზესტაფონი"– 6 425 000**

ამასობაში, გორის სტადიონის რეკონსტრუქცია დიდი ტემპით მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, აგვისტოსთვის დასრულდება. ყოველ შემთხვევაში, არის იმედი, რომ "დილა" ეროვნული ჩემპიონატის პირველ შეხვედრას მშობლიურ "თენგიზ ბურჯანაძის" არენაზე გამართავს.

მერაბ მამულაშვილი

გოგიტა გოგუა

● მეტოქე

დანიელებს ფანები ვერ მოპყავთ

დავით დევდარიანი

ევროპის ლიგაზე გორის "დილას" მეტოქე "ორჰუსი" ახალი სეზონისათვის ემზადება. "გეტებორგთან" საკონტროლო მატჩში 0:2 წაგების შემდეგ, **პეტერ სორენსენის** გუნდი დანიური "ვეილეს" შეხვდა და 2:1 მოიგო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **დავით სხირტლაძე** მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა, მაგრამ არ გაუტანია, "ორჰუსის" მეორე ქართველი ლეგიონერი **დავით დევდარიანი** კი კვლავ ინდივიდუალურად ემზადება.

შესაძლოა, "ორჰუსი" საქართველოს ფანების გარეშე ესტუმროს. კლუბის გენერალური დირექტორი **იან კრისტიანსენი** დამწუხრებულია: *"ჩვენი პარტნიორი ტურისტული კომპანია რამდენიმე ავიაკომპანიას დაუკავშირდა, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში სასურველ ფასში რეისის შესრულებაზე ჯერ ვერც ერთი დაითანხმეს. აღმოჩნდა, რომ ზაფხულის გადატვირთულ პერიოდში ყველას წინასწარ ჰქონდა განერილი რეისები და ჩვენთვის მისაღებ ფასში გულშემატკივართა გამგზავრებას არავინ თანხმდება. ძალიან ცუდ ვითარებაში აღმოვჩნდით. თუმცა, მატჩამდე დრო კიდევ არის და იქნებ, გულშემატკივრები თბილისში დამოუკიდებლად ჩასვლას შეეცადონ. კლუბი, მწვრთნელები და ფეხბურთელები მათ თანადგომას ვაფასებთ და იმედია, შემდეგ ეტაპზე გავალთ და ისეთ გუნდს შევხვდებით, სადაც ჩასვლა გაცილებით ადვილი იქნება".*

დანიელებმა უკვე დაიწყეს "დილასთან" საშინაო მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა: მათი ფასი 20-დან 125 კრონამდე მერყეობს, რაც დაახლოებით 3,5 და 41 დოლარია.

მერაბ მამულაშვილი

● საკონტროლო მატჩი

დილამ სპარტაკს ვერ მოუგო

გუშინ ეროვნული ნაკრების სანვრთნელ ცენტრ "ბასაში" გორის "დილამ" საკონტროლო მატჩი უმაღლესი ლიგიდან გავარდნილ ცხინვალის "სპარტაკთან" ჩაატარა და მხოლოდ 2:2-ს დასჯერდა.

ჯერ იმას ვიტყვით, რომ პირველად მოირგეს "დილას" ფორმა **შოთა გრიგალაშვილმა** და **გოგიტა გოგუამ**. ვერ ითამაშეს ტრავმირებულმა **დავით კვირკველიამ, რევაზ ბარაბაძემ** და **გიორგი ილურიძემ, გოჩა ხოჯავამ** კი ოპერაცია გაიკეთა. ამათგან, გუნდს ევროლიგაზე მხოლოდ კვირკველია დაეხმარება. მისი ტრავმა საშიში არ არის და დღეს ან ხვალ გუნდთან ერთად ივარჯიშებს. მოვლენებს გავუსწრებთ და გეტყვით, რომ თამაშში უილბლოდ ჩაერთო გორელთა თავდამსხმელი **გიორგი კახელიშვილი**, რომელიც მცველთან შეჯახებისას მძიმედ დაშავდა და მოედნიდან გასაყვანი გახდა. დღეს შეუერთდება გუნდს 17-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი **გიორგი აბურჯანია**.

კარგი ამბავი კი ისაა, რომ 3 დღეა, ვარჯიში განაახლა **გიორგი ონიანმა**, რომელსაც ავსტრიულ შეკრებაზე ბოსნიელმა თავდამსხმელმა ცხვირი გაუტეხა.

შეხვედრა "დილას" ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა: პირველი გოლი **მათე ვაწაძემ** გაიტანა, რომელიც საჯარიმოში მოცელეს და პენალტი თავად გამოიყენა – 1:0.

მის შემდეგ გორელებს შეტევების გამწვავება უჭირდათ - ხოჯავას არყოფნა გუნდს აშკარად ეტყობოდა. "სპარტაკმა" კი კონტრშეტევებზე ორჯერ ისარგებლა "დილას" დაცვისა და მეკარის უხეში შეცდომებით – ორჯერვე თავი **თემურ შონიამ** გამოიჩინა და ცხინვალელები დააწინაურა.

ამის შემდეგ **დავით გელაშვილსა** და ისევ შონიას კიდევ შეეძლოთ გატანა, მეკარე **მარინ სკენდერს** რომ არ ეყოჩაღა. აქტიური იყო **გოგიტა გოგუა**, მაგრამ, საიმედოდ გამოიყურებოდა "სპარტაკის" მეკარე **გიორგი ნადირაძე**.

მეორე ტაიმში "დილა" აშკარა უპირატესობას ფლობდა და შეტევები გაამწვავა, ანგარიშის გათანაბრება შეეძლო **სანდრო გურულს**, მაგრამ ეს მხოლოდ **ირაკლი მოდებაძემ** მოახერხა, რომელმაც **კახა ალადაშვილის** მშვენიერი ფლანგური ჩაწოდება თავური დარტყმით დააგვირგვინა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:2.

"დილა": **სკენდერი – შაშიაშვილი, სალუქვაძე, თომაშვილი, ნ. ჯიშკარიანი – გვალია, არზიანი – ბეჭვაია, შ. გრიგალაშვილი, გოგუა - ვაწაძე**

შეცვლაზე შემოვიდნენ: **ალადაშვილი, ინწკირველი, გ. ონიანი, კაშია, კაციტაძე, ახალკაცი, მამუჩიშვილი, ს. გურული, კახელიშვილი, გორელიშვილი, მოდებაძე.**

მერაბ მამულაშვილი

გორის დილა მზადებას განაგრძობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ლუის სუარესი

სიმღერები ურუგვაელზე

ორიოდე დღის წინ "ლივერპულის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გუნდის საუკეთესო ბომბარდირს, 25 წლის ლუის სუარესს ინტერვიუ ჩამოართვა. ფეხბურთელმა გადაწყვიტა გულშემატკივრებთან თავის ცხოვრებაზე გულწრფელად ელაპარაკა.

- როგორ სპორტულ ფეხსაცმელს იცვამდით ბავშვობაში?

- პირველად 8 წლისას მაჩუქეს "ადიდასის" სპორტული ფეხსაცმელი, რომელსაც ზედ ენცო ფრანჩესკოლის ხელმოწერა ჰქონდა. ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან ენცო ლეგენდარული ფეხბურთელი იყო.

- გაქვთ თუ არა რამე რიტუალი თამაშის დღეებში?

- "აიაქსში" იქნებოდა ეს თუ ნაკრებში, მაშინ, როცა ცუდად ვთამაშობდი, ვცდილობდი, რომ რაღაც შემეცვალა. "აიაქსის" ყოველი თამაშის წინ მუსიკას ვუსმენდი. აქ კი ვცდილობ, რომ ჩემს ლათინურამერიკელ თანაგუნდელებს კოატესს, მაქსის ან ლუკასს ვესაუბრო.

- ყველაზე დიდი გავლენა თქვენს კარიერაზე ვინ იქონია?

- ურუგვაიში იყო ორი ასეთი პირივნება, ვილსონი და ხოსე ლუისი. ბავშვობაში, როცა ვარჯიშზე წასვლის საშუალება არ მქონდა, ბაზაზე მათ მივყავდი ხოლმე. მერე, როცა კლუბის გამოცვლის სურვილი მიჩნდებოდა, მარწმუნებდნენ, რომ არ ღირდა ამის გაკეთება. მეც ვრჩებოდი იქ, სადაც ვიყავი.

- ვინ არის თქვენი საყვარელი თავდამსხმელი?

- გაბრიელ ბატისტუტა. ის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ცხრა ნომრით თამაშობდა და ძალიან ბევრი კარგი გოლი გაჰქონდა.

- ოდესმე თუ გითამაშიათ კლუბ "ლივერპულის" წინააღმდეგ ურუგვაიდან?

- დიახ. ისინი ინგლისური "ლივერპულისგან" იმით განსხვავდებიან, რომ შავი ფორმებით თამაშობენ. ცოტა დაბნევაც შეიძლება, როცა ლაპარაკია საფეხბურთო კლუბზე ამ სახელით.

- ყველაზე მეტად რომელ სტადიონზე გიყვართ თამაში?

- "ენფილდის" გარდა "უემბლიზე", "ამსტერდამ არენაზე" და ასევე იოჰანესბურგის სტადიონზე, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობდი.

- გოლის გატანას როგორ აღნიშნავთ ხოლმე?

- როგორც წესი, ჩემს ხელს ვკოცნი, სადაც დელფინას, ჩემი შვილის ტატუირება მაქვს, ხან კიდევ თითებს, ჩემი მეუღლის გამო. ბავშვობაში ვნახე, რომ რონალდოსა და ალან შირერს აღნიშვნის თავიანთი მანერა ჰქონდათ, მეც მინდოდა რაღაც ჩემებური რიტუალი მქონოდა.

- რა არის თქვენი ჰობი?

- ძალიან მიყვარს პლეისტეიშენზე გართობა. თამაშის დანყებამდე მე, მაქსი და სება (კოატესი. რედ), "პრო ევოლუშენ სოკერით" ვერთობით ხოლმე. ამ თამაშში ყოველთვის საუკეთესო ვარ.

ლუის სუარესი გოლის მერე ხელზე შვილის გამოსახულებას კოცნის

- სპორტის საყვარელი სახეობა თუ გაქვთ?

- ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩოგბურთს და ინგლისში გადმოსვლის მერე ვცადე კიდეც კორტზე გასვლა. ისე უფრო ყურება მიყვარს.

- მართვის მოწმობა პირველივე გასვლაზე აიღეთ?

- დიახ.

- პირველი რა მანქანა გყავდათ?

- "გრონინგენში" როცა გადავედი, მაშინ "ოპელ ასტრა" ვიყიდე.

- "ლივერპულში" ყველაზე მხიარული ვინ არის?

- ვფიქრობ, მაქსი როდრიგესი. მასთან მუდმივად ესპანურად ვლაპარაკობ. ისე, სხვებიც იქნებიან.

- მუსიკაში უპირატესობას რას ანიჭებთ?

- მომწონს ურუგვაული კუმბია. ის ცოტათი სალსას ჰგავს.

- კლუბში თუ არის რომელიმე შენი სიმღერა?

- დიახ, ვიცი ეს სიმღერა. დიდებულია, როცა ახალ კლუბში მოდიხარ და ფანები შენზე უმალ სიმღერებს თხზავენ. ყოველთვის ბედნიერი ვარ, როცა სტადიონზე მას ვისმენ.

- ამას წინათ "ტვიტერზე" დაწერეთ, რომ კინოთეატრში იყავით.

- ინგლისურ ფილმებს ხშირად ვუყურებ, რათა ენის ცოდნა გავიღრმავო, მაგრამ ფილმი, რომელიც ვნახე დიდად არ მომეწონა.

- მაისურები ვისთვის გაგიცვლიათ?

- ძალიან ბევრთან, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო ამის გაკეთება ანდრეს ინიესტასთან იყო. მიყვარს ეს ტრადიცია, რადგან ხშირად მეძლევა შანსი, სამახსოვროდ რომელიმე კარგი ფეხბურთელისგან მივიღო მაისურა.

- ვინ არის საუკეთესო მცველი, ვის წინააღმდეგაც ოდესმე გითამაშიათ?

- გეტყვით, რომ ეს მარტინ შკრტელია. ის ფანტასტიკური მცველია. წინა სეზონში მან თავისი ყველა საუკეთესო თვისება გამოავლინა. კიდევ არიან ძლიერი მცველები, მაგალითად ტიაგო სილვა "მილანიდან", ის კარგი მოწინააღმდეგე, დაუნდობელი ოპონენტი, სწრაფი, ძლიერი და მრავალმხრივად განვითარებულია.

არსენალი

ვენგერი ვარსკვლავებზე

არსენ ვენგერს არშავინი აღარ სჭირდება

"არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ინტერვიუ მისცა ინგლისურ გაზეთებს, სადაც "მეთოფეთა" ვარსკვლავებზე რობინ ვან პერსისა და ანდრეი არშავინზე აბსოლუტურად განსხვავებულ ტონალობაში ილაპარაკა. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

- ვან პერსი "არსენალის" ლიდერია და მასთან განშორებას ნამდვილად არ ვგეგმავთ. საბედნიეროდ, "ემირატსიდან" წასვლა არც-მას აქვს გადაწყვეტილი. კლუბში ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რობინი რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს ჩვენთან, თუნდაც კარიერის დასრულებამდე. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, რომ ის ფეხბურთს სწორედ "არსენალის" ფეხბურთელის რანგში გამოეთხოვოს.

რაც შეეხება არშავინს, ის ხასიათის ფეხბურთელად გადაიქცა. როცა თამაში მისდის, შეუძლია, ფანტასტიკურად გაისარჯოს, მაგრამ უფრო ხშირად მოედანზე "ეძინება" ხოლმე. ძალიან გამიკვირდა, როცა რუსეთის ნაკრებმა საბერძნეთთან წააგო. არშავინს იმის 80% რომ ეჩვენებინა, რისი პოტენციალიც აქვს, ის ნაკრებს აუცილებლად გაიყვანდა 1/4-ფინალში. თუმცა მეჩვენება, რომ ანდრეი უკვე წასულია დიდი ფეხბურთიდან. დაკარგა სიჩქარე და რაც მთავარია, სურვილი, რომ გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღოს. მაშინ, როცა ის "არსენალში" მოვიდა, ეს სურვილი ჰქონდა და შესაბამისად, მას გუნდიც კარგად შეხვდა. ბოლო ხანს მას პრობლემები დაუგროვდა. მხოლოდ მე კი არა, თანაგუნდელებმაც შეამჩნიეს, რომ საკუთარ თავს უფრთხილდებოდა. სადღაც სირბილი დაეზარა, სადღაც ბრძოლას ფეხი გაარიდა. ფიზიკური მომზადება მისი საუკეთესო მახასიათებელი არასოდეს ყოფილა, კონდიციების გასაუმჯობესებლად მუშაობა კი ეზარება. მე მას ყოველთვის ვიცავდი, შანსს ვაძლევდი. შარშან, როცა გუნდიდან ფაბრეგასი და ნასრი წავიდნენ, მას მიეცა შესაძლებლობა, გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ქცეულიყო. ანდრეის ამ თემაზე ველაპარაკე კიდეც, მაგრამ მან თავი ვერ გამოიჩინა და ჯერ სკამზე გადავსვი, მერე დუბლებშიც კი გადავიყვანე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფეხბურთელს მოედანზე გამოსულს საკუთარი გულშემატკივარი უსტვენდა.

ჩელსი

პირველი პრესკონფერენცია

"ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო დი მატეომ** ახალი სეზონისთვის მზადების დანყებამდე პირველი პრესკონფერენცია გამართა, სადაც დანვრილებით ილაპარაკა გუნდში არსებულ ვითარებაზე და მოკლედ დაახასიათა "ლურჯების" ახალნვეულები. იტალიელმა სპეციალისტმა პრესასთან ურთიერთობა სამწუხარო ინფორმაციით დაიწყო:

- დენიელ სტარიჯს ვირუსული მენინგიტი აქვს. მე მას უკვე ველაპარაკე და გარწმუნებთ, რომ ის თავს უკეთ გრძნობს. სამედიცინო შტაბი ყველაფერს აკეთებს, რათა ფეხბურთელმა რაც შეიძლება მალე იგრძნოს თავი კარგად. იმედი მაქვს, ეს ასეც მოხდება და დენიელი შეძლებს ბრიტანეთის ოლიმპიური ნაკრების შეკრებაზე გამგზავრებას. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ მის მდგომარეობას ექიმები ყოველდღე ამოწმებენ. ჩვენი ნარმომადგენლები მას მუდმივად თავს დასტრიალებენ და რეგულარულად გვაწვდიან ინფორმაციას. სტარიჯმა თავი შეუძლოდ ამ უქმეებზე იგრძნო. ის სასწრაფო დახმარების მანქანით "სენტ მერის" საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პირადად ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ისევ აქ ვარ. მოუთმენლად ველოდები ფეხბურთელებთან მუშაობის განახლებას. იმედია, წელს უფრო ნარმატებული სეზონი გვექნება. აზარი დიდებული ფეხბურთელია. თავისი ასაკისთვის მან უკვე ძალიან ბევრს მიაღწია, მაგრამ არც იმის დავინყება გვმართებს, რომ ის ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდაა. ძალიან კარგი ფეხბურთელია მარკო მარინიც. მას რამდენიმე პოზიციაზე ერთნაირად კარგად შეუძლია თამაში. ამჟამინდელი შემადგენლობით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ სატრანსფერო ბაზარს მაინც მივაქცევთ ყურადღებას. ვნახავთ, შეიძლება თუ არა კიდევ გუნდის გაძლიერება. ველოდები, რომ ფრენკ ლემპარდი გუნდს გამოჯანმრთელებული დაუბრუნდება. ის თავს უკვე კარგად გრძნობს და ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელის. მიხარია ფერნანდო ტორესისა და ხუან მატას ნარმატებაც, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში მათ იტალიას მოუგეს. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ ყველა იმ ტურნირის მოსაგებად, სადაც ვთამაშობთ. მართალია, დიდიე დროგბას გარეშე მოგვიწევს თამაში, მაგრამ ამას უნდა შევეგუოთ და წინ ვიაროთ. მისი ტვირთი სხვა ფეხბურთელებმა უნდა ზიდონ. ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები მინიმუმ 21-დღიან შვებულებას მიიღებენ.

P.S "დეილი მეილის" ინფორმაციით, დენიელ სტარიჯის მდგომარეობა საკმაოდ რთულია და მის გამოჯანმრთელებას გარკვეული დრო დასჭირდება. ფეხბურთელის მკურნალობისთვის ძლიერმოქმედი პრეპარატებია საჭირო. შესაბამისად, ოლიმპიურ თამაშებზე მისი ასპარეზობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

რობერტო დი მატეო

ამბები

ბალოტელის ახალი პრობლემა

"რატომ ყოველთვის მარიო?!" – ეს რიტორიკული შეკითხვა თავად ფეხბურთელმა დასვა და მასზე პასუხი ჯერ არავის გაუცია. 21 წლის იტალიელი მორიკ შარში გაეხვია. ევრო 2012-ზე გერმანია-იტალიის 1/2-ფინალის წინადღეს ბალოტელის ყოფილმა მეგობარმა გოგონამ **რაფაელა ფიკომ** განაცხადა, რომ "მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელისგან ბავშვს ელოდა. "სუპერმარიო" მამობის აღიარებას იქამდე არ აპირებს, ვიდრე ქალბატონი სპეციალურ სამედიცინო ტესტს არ ჩააბარებს. *"იმედგაცრუებული ვარ, რომ ეს ამბავი აქამდე არ ვიცოდი. როგორც მითხრეს, რაფაელა ფეხმძიმობის მე-4 თვეზეა. თუკი ის ჩემგანაა ორსულად, მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ავიღებ, მაგრამ მხოლოდ მას მერე, რაც მექნება მტკიცებულება, რომ ეს ნამდვილად ასეა. ვაფრთხილებ პრესას, რომ ჩემი მხრიდან ეს პირველი და უკანასკნელი კომენტარი იქნება ამ თემაზე,"* – განუცხადა ფეხბურთელმა "ფუტბოლიტალიას".

ედი რეია მარსელში?

66 წლის იტალიელმა სპეციალისტმა **ედი რეიამ** "ლაციოში" წარმატებული სეზონი ჩაატარა, დაიკავა რა "ბიანკოჩელესტესთან" ერთად მე-4 ადგილი სერია A-ში. თუმცა ამბიციურმა რომაელებმა მას ეს არ აპატიეს. ედიმ პოსტი დატოვა. *"2-3 თვე კარგად დასვენება მინდოდა, მაგრამ არ გამოდის. უცხოური კლუბებიდან რამდენიმე წინადადება მაქვს და მათ აუცილებლად განვიხილავ. ერთ-ერთი ფრანგული ლიგა 1-ის წარმომადგენელია,"* – თქვა მან. იტალიურმა პრესამ დაასკვნა, რომ კონტრაქტი მას "მარსელმა" შესთავაზა, მაგრამ ჩვენმა ფრანგმა კოლეგებმა ეს ვარიანტი გამორიცხეს, პროვანსელთა გულშემატკივარი "არაფრანკოფონ" თავკაცს ვერ აიტანსო.

ჰსუ-ის ამბები

ფრანგული გაზეთების მტკიცებით, ჰსუ-ში **ესეკილ ლავესის** მისვლის შემდეგ გუნდში **ნენეს** ადგილი აღარ დარჩა. 30 წლის გარემარბს ხელშეკრულება ერთი წლის შემდეგ უმთავრდება. კლუბმა ნენეს უკვე აცნობა, რომ მასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ იგეგმება. ბრაზილიელი ამგვარი დამოკიდებულებით ნაწყენი დარჩა და აგენტს ახალი კლუბის მოძებნა დაავალა. ნენეს გადაბირების უმთავრეს პრეტენდენტად ესპანური "მალაგა" მიიჩნევა.

კარლო ანჩელოტის გუნდი, შესაძლოა, კიდევ ერთმა ფეხბურთელმა **მამადუ სახომ** დატოვოს. 22 წლის ცენტრალურმა მცველმა გუნდში იტალიელი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ ძირითადში ადგილი დაკარგა და ამიტომ ახალი გუნდის მონახვა სურს. *"ჰსუ-ში თამაში ძალიან მინდა, მაგრამ მწვრთნელს ბოლო პერიოდში მოედანზე ჩემი ადგილის პოვნა სულ უფრო უჭირს. ასე რომ, სხვა კლუბების შემოთავაზებებისთვის მზად ვარ. შეიძლება ნებისმიერ ფრანგულ კლუბში გადავიდე, რათა ყველას დავუმტკიცო, რომ უკეთეს დამოკიდებულებას ვიმსახურებ,"* – ამბობს მამადუ სახო.

ნანის ბედი მალე გაირკვევა

"სანის" ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი გარემარბის, 25 წლის **ლუიმ ნანის** ბედი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში გადაწყდება. ფეხბურთელი შიშობს, რომ კლუბი მის გაყიდვას აპირებს, მით უფრო, რომ მთხოვნელები მას ნამდვილად არ აკლია. გაუგებრობა ფეხბურთელსა და კლუბს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც მხარეებს ნანის ახალი ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკება გაუჭირდათ. "იუნაიტედი" უარზეა, მას ხელფასი კვირაში 130 ათას ფუნტამდე გაუზარდოს. ამჟამად მოქმედ ხელშეკრულებაში პორტუგალიელს ორი წელი აქვს დარჩენილი, რომლის თანახმად, ის კვირაში "სულ რაღაც" 90 ათას ფუნტს იღებს. მიუხედავად რამდენიმე განცხადებისა, მოლაპარაკების მაგიდასთან დასაჯდომად მზად ვართო, "ეშმაკები" პირობას ჯერ არ ასრულებენ. ფეხბურთელი შვებულებაში იმყოფება და ამ ხნის განმავლობაში კლუბიდან მას არავინ დაკავშირებია. 15 ივლისს "იუნაიტედი" პირველ შეკრებაზე სამხრეთ აფრიკაში მიემგზავრება, პორტუგალიელი გუნდს სწორედ იქ შეუერთდება. ნანის ტრანსფერს ექსპერტები 25 მილიონ ფუნტად აფასებენ.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● ევროპის ჩემპიონატი. U 19

ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრები ტიტულის შენარჩუნებას მოგებით იწყებს

ევროპა დამთავრდა, დაიწყო

პორტუგალია-ესპანეთი ესტონეთშიც გველის

ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა, ევროპის ჩემპიონატი დაიწყო! პოლონეთმა და უკრაინამ კიდევ ერთ აღმოსავლეთევროპულ ქვეყანას, ესტონეთს გადაულოცა ესტაფეტა, ოღონდ ბალტიაში მომავლის ვარსკვლავები გამოიჭედებიან - ესტონეთში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა 19-წლამდელთა შორის, რვა საუკეთესო ნაკრები A და B ჯგუფებშია გადანაწილებული. სამწუხაროდ, 17-წლამდელთა დარად ვერ გაიბრწყინეს ჩვენმა 19-წლამდელებმა (მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე), რომლებიც ელიტ-რაუნდიდან დაემშვიდობნენ ტურნირს.

მაშ ასე, A ჯგუფში არიან მოქმედი ჩემპიონები ესპანელები, მასპინძლები, პორტუგალიელები და ბერძნები. B ჯგუფში თავი ინგლისმა, საფრანგეთმა, სერბეთმა და ხორვატიამ მოიყარეს.

ესპანეთის ნაკრებს ბასკი სპეციალისტი **ხულიენ ლოპეტეგი** წვრთნის. მისმა გუნდმა გამარჯვებით დაიწყო ტურნირი, როცა დაძაბულ ბრძოლაში საბერძნეთი დაამარცხა - 2:1. ეს არ იყო იოლი საქმე, **კოსტას ცანასის** გუნდს საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთი გოლიც არ გაუშვია. ესპანელებმა კი ეს ორჯერ მოახერხეს პირველივე ტაიმში, ორივე გოლი „რეალის“ ახალგაზრდული გუნდის ნარმომადგენლებმა გაიტანეს, **ხესე როდრიგესმა** და **დერიკ ოსედემ**. ბერძნებმა მეორე ტაიმში **დიმიტრის დიამანტაკოსის** გოლით უპასუხეს, თუმცა ეს მატჩის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა.

კოსტას ცანასი (საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი): *„პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. მეორეში კი ესპანელებს ვაჯობეთ, ისინი მარწუხებში მოვაქციეთ, ვუტიეთ და კინაღამ გავათანაბრეთ კიდევაც“.*

ხულიენ ლოპეტეგი (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): *„ჩვენ მოვიპოვეთ სამი მნიშვნელოვანი ქულა. ამას დავუმატოთ, რომ მეტოქე უბრალოდ ფანტასტიკური იყო, ამიტომაც მე ძალიან ბედნიერი ვარ“.*

ტალინში მასპინძლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს პორტუგალიელებს. **ედგარ ბორჯესის** გუნდმა 3:0 იმარჯვა. სხვათა შორის, ამ ასაკში პორტუგალიის ნაკრებს არასოდეს მოუგია ევროპის ჩემპიონატი. ახლა კი ლუზიტანებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, რომელთა საკვალიფიკაციო მატჩებში 29 გოლი გაიტანეს. ესტონელებმა უიღბლოდ დაინყეს, მე-5 წუთზე **არტურ პიკიმ** თავით საკუთარი კარი დალაშქრა. შემდეგ **ბეტინიომ** გამოიჩინა თავი, მესამე გოლი კი საჯარიმო დარტყმით **დანიელ მარტინშმა** გაიტანა.

ედგარ ბორჯესი (პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი): *„3:0-ის შემდეგ რაღა უნდა ვთქვა? რა თქმა უნდა, გახარებული ვარ, თუმცა თამაშის ხარისხით მაინცდამაინც არ ვარ კმაყოფილი“.*

არნო პიიპერსი (ესტონეთის ნაკრების მწვრთნელი): *„მეტოქემ ყველაფერში დაგვჯაბნა. მათ ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ“.*

მეორე ჯგუფში ხორვატებმა და ინგლისელებმა ფრე ითამაშეს - 1:1, **დომაგოი პავლიჩიჩმა** და **ნათანიელ ჩელებოამ** „გაცვალეს“ გოლები. დარჩენილ დროში კი კარგად ითამაშეს გოლკიპერებმა **სემ ჯონსტონმა** და **სიმონ სლუგამ**.

ნოელ ბლეიკი (ინგლისის ნაკრების მწვრთნელი): *„ვაგებდით და ქულა გადავარჩინეთ. ასე რომ, კმაყოფილი უნდა ვიყო. პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჯობა, მაგრამ მეორეში, ჩემი აზრით, მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა ფეხბურთს - ინგლისის ნაკრები“.*

დინკო იელიჩიჩი (ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი): *„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და მომენტები რომ გამოგვეყენებინა, ინგლისს დავამარცხებდით“.*

სამაგიეროდ, ჯგუფის მეორე ფავორიტს არ გასჭირვებია, ფრანგებმა ერთი ამოსუნთქვით დაამარცხეს სერბები - 3:0. **პიერ მანკოვსკის** გუნდმა სამივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა, მეორეში კი სერბი **ალექსანდარ მიტროვიჩი** გააძევეს. **რიშარ-ქვენტინ სამნიკმა** თავურით გაიტანა, **პოლ პოგბამ** პენალტი გამოიყენა, სერბების განადგურება კი **ტიბო ვიონმა** დაასრულა. მე-2 ტურის თამაშები 6 ივლისს გაიმართება.

პიერ მანკოვსკი (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი): *„ძალიან კარგი სტარტია ჩვენთვის. პირველი თამაში ყოველთვის ძალზე მნიშვნელოვანია“.*

ზორან მარიჩი (სერბეთის ნაკრების მწვრთნელი): *„ერთადერთი პოზიტიური რაც ამ თამაშიდან მიგვყვება, ისაა, რომ ჩვენ უკვე კარგად ვიცით, როგორ არ უნდა ვითამაშოთ. ძალიან გთხოვთ, სერბეთის ნაკრებს ნაადრევად ნუ ჩამოწერთ“.*

ვის მივაქციოთ ყურადღება?

ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე რვა გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი მომავალში დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ესპანეთის ნაკრებიდან ყურადღება-მისაქცევია კაპიტანი **ხუანმი ხიმენესი**. 19 წლის შემტევი უკვე ხვდება „მალაგას“ ძირითად შემადგენლობაში. ესპანელთა 10-იანი **ხესე როდრიგესი** უკვე ვახსენეთ. ასევე „ბარსას“ ფორვარდი **ჟერარდ დეულოფეო**. პორტუგალიიდან „სპორტინგის“ ფორვარდ **ალბერტო კოელიოს** იმავე ბეტინიოს გამოვყოფთ. ძალიან იმედისმმცემია ბერძენი პლეიმეიქერი **გიორგოს კატიდისი**. ინგლისის ნაკრებში თამაშობს კარგი ნახევარმცველი „ტოტენჰემიდან“ **ჰარი კეინი**, არც არსენალელი **ბენიკ აფობეა** ურიგო ფორვარდი. ფრანგთაგან, რა თქმა უნდა, კაპიტან პოლ პოგბას გამოვყოფთ, რომელიც ახლახან „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „იუვენტუსში“ გადავიდა.

II ტური

A ჯგუფი

ესტონეთი-საბერძნეთი
პორტუგალია-ესპანეთი

B ჯგუფი

საფრანგეთი-ხორვატია
სერბეთი-ინგლისი

● ჩემპიონთა ლიგა და ევროპალიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი

ლიგა ჯუჯებით დაიწყო

მათ კი ერთმანეთი მოსრეს

მაიკლ მიფსუდმა პოკერი შეასრულა

ჩემპიონთა ლიგის 2012/13 წლების სეზონი ოფიციალურად გახსნილია! ბრძოლაში ჯერ ის 6 კლუბი ჩაება, რომელთაც ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვთ, I საკვალიფიკაციო ეტაპზე სულ სამი წყვილია, სამიდან ორში კი ბრძოლა არც ყოფილა. მალტის ჩემპიონმა „ვალეტამ“ ანდორული „ლუზიტანსი“ 8:0 გაანადგურა. აქ კი ჩვენი ნაკრებისთვის ავად ნაცნობი **მაიკლ მიფსუდი** უნდა ვახსენოთ, 31 წლის ფორვარდმა ანდორელი მოყვარულების კარში პოკერი შეასრულა. ასევე ყველაფერი გადაწყდა „დუდელანჟისა“ და „ტრე პენეს“ მატჩშიც - 7:0. სან მარინოელთათვის ლუქსემბურგული კლუბი გრანდის ტოლფასი აღმოჩნდა. სხვათაშორის, **დიდიე ფილიპსის** გუნდმა 7-დან 5 გოლი მეორე ტაიმში გაიტანა. აი, ჩრდილოირლანდიური „ლინფილდისა“ და ფარერული „ტორსჰავნის“ დაპირისპირებაში ყველაფერი 10 ივლისს კუნძულებზე გადაწყდება, პირველი მატჩი 0:0 მორჩა. ირლანდიელთა უპირატესობა გოლებში სტუმარი მეკარის, **მეინჰარდტ იოენსენის** ყოჩაღობის წყალობით არ აისახა.

ევროპალიგაც...

გაიმართა ევროპალიგის I საკვალიფიკაციო ეტაპის ორი მატჩიც (დანარჩენი წყვილები დღეს ითამაშებენ). ბელარუსის „გომელმა“ სტუმრად 6:0 გაანადგურა ფარერების „ვიკინგური“. აღსანიშნავია, **ალიაქსანდრ ჰლების** ძმის, **ვიაჩესლავის** დუბლი. მაკედონიურმა „შკიონდიამ“ კი შინ ვერაფერი მოუხერხა ჩრდილოირლანდიურ „პორტდაუნს“ - 0:0.

ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი

ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)-ტორსჰავნი (ფარერები) 0:0
დუდელანჟი (ლუქსემბურგი)-ტრე პენე (სან მარინო) 7:0
გოლები: 1:0 მელისე (25), 2:0 ბენზუიენი (29), 3:0 ლეგროსი (47), 4:0 ჟოაკიმი (51), 5:0 ბენზუიენი (53), 6:0 დ'ორსი (78 ს.კ.), 7:0 ჟოაკიმი (93)

ვალეტა (მალტა)-ლუზიტანსი (ანდორა) 8:0
გოლები: 1:0 ჯ. კარუნა (4), 2:0 მიფსუდი (10), 3:0 ჯონათანი (17), 4:0 მიფსუდი (18), 5:0 ჯონათანი (28), 6:0 მიფსუდი (45), 7:0 მიფსუდი (70), 8:0 ე. აგიუსი (72)

ევროპალიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი

ვიკინგური (ფარერები)-გომელი (ბელარუსი) 0:6
გოლები: 0:1 ვ. ჰლები (53), 0:2 ვ. ჰლები (55), 0:3 ვორონკოვი (57), 0:4 ალექსიევიჩი (58), 0:5 კაშევსკი (69), 0:6 ლევიცკი (80)

შკიონდია (მაკედონია)-პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) 0:0

● ამბები

გაგოს ურუიზი ჩაიშალა

მასმერე, რაც **ფერნანდო გაგოს** იჯარის ვადა დაუსრულდა, ის „რომადან“ „რეალში“ დაბრუნდა, მაგრამ არგენტინელ ნახევარმცველს კლუბში ხელგაშლილი არ დახვედრიან - **ჟოზე მოურინიო** კვლავ იმ აზრზეა, რომ გაგო „რეალს“ არ გამოადგება. ამიტომაც, მისი შეძენა ბრაზილიურმა „კრუზეირომ“ გადაწყვიტა, როგორც აღმოჩნდა - უშედეგოდ. „ბელო ორიზონტეს“ გუნდის დირექტორმა **ალეშანდრე მატოსმა** განაცხადა, რომ ცდა უშედეგოდ დაგვირგვინდა, 26 წლის გაგო „კრუზეიროში“ არ ითამაშებს. *„ჩვენ მოვითხოვეთ „რეალისგან“ გაგოსთან დაკავშირებით სიტუაციაში გარკვევა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. საქმე მოლაპარაკების მაგიდამდეც კი არ მისულა“*, - განუცხადა მატოსმა „რადიო ბანდეირენტესს“.

შეგახსენებთ, რომ „ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი ფეხბურთელი ჯერ კიდევ 2007 წელს გადაბარგდა „სამეფო კლუბში“, მადრიდში მაშინ პრეზიდენტი **ხოსე კალდერონი** იყო.

ჩავი, იკერი და... მოურინიო

ჩავი ერნანდესის მამამ „კომ რადიოსთან“ საუბარში განაცხადა, რომ მისი შვილის მეგობრობამ **იკერ კასილიასთან** ხელი შეუწყო ესპანეთის ნაკრების წარმატებას, სამაგიეროდ, ამის გამო იკერს პრობლემები შეექმნა კლუბში **ჟოზე მოურინიოსთან**: *„იკერი და ჩავი ჭაბუკობიდან მეგობრობენ. ამის გამო იკერს ხშირად ექმნება პრობლემები მოურინიოსთან, მაგრამ ისინი ამის გამო არ აპირებენ დაშორებას. რომ არა ჩავის და იკერის მეგობრობა, ასევე ვისენტე დელ ბოსკე, ესპანეთი ასე შორს ვერ წავიდოდა. ბოლო დროის „კლასიკოებმა“ „რეალისა“ და „ბარსელონას“ ფეხბურთელებს შორის დაპირისპირებები გამოიწვია, მაგრამ იკერი და ჩავი ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს დაპირისპირებები არ გადაიზარდოს მტრობაში“.*

ექსრეინჯერი ევერტონში

"რეინჯერსში" დატრიალებული უბედურების შემდეგ (მოგეხსენებათ კლუბი გაკოტრებულად აღიარეს) შოტლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა **სტივენ ნეისმიტმა** თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო და გლაზგოური კლუბიდან სათამაშოდ "ევერტონს" მიაშურა. 25 წლის თავდამსხმელმა მერსისაიდელებთან 4-ნლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ის კუთვნილი შვებულებით კიდევ ერთი კვირა ისარგებლებს და ახალ გუნდს მხოლოდ ამის მერე შეუერთდება. *"ჩემთვის დიდი პატივია იმ კლუბში მოხვედრა, რომელსაც ფანტასტიკური ისტორია აქვს. პატივია ნიჭიერი ფეხბურთელების გარემოცვაში მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში თამაშიც,"* – აცხადებს ფეხბურთელი. **დევიდ მოიესის** აზრით კი, ნეისმიტი მისი გუნდის შეტევის ხაზს აუცილებლად გააძლიერებს.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● რეალი

არბელოა და ალბიოლი 2016 წლამდე

ალვარო არბელოა და რაულ ალბიოლი

ესპანური მედია ირწმუნება, რომ სულ მალე „რეალი“ ორ მცველს კონტრაქტებს გაუხანგრძლივებს. ლაპარაკია ევროპის ჩემპიონებზე, **რაულ ალბიოლსა** და **ალვარო არბელოაზე**. სამშაბათს ორივე ფეხბურთელის წარმომადგენელმა მანუელ გარსია კილონმა „სამეფო კლუბთან“ წარმატებული მოლაპარაკების რაუნდი გამართა. არბელოა და ალბიოლი 2016 წლამდე დარჩებიან „რეალში“. 29 წლის არბელოას ხელშეკრულება 2014 წელს უსრულდებოდა, ისევე როგორც - 26 წლის ალბიოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A

საჭრანსფერო ციებ-ცხელება კალჩოში

დი ნატალემ გადაიფიქრა და რჩება...



აურელიო დე ლაურენტისმა ჟურნალისტები გამოლანძღა

ევროპის ჩემპიონატი დასრულდა და იტალიური საფეხბურთო სამყარო სატრანსფერო თემებმა მოიცვა. რა გეგმები აქვთ სერია A-ს ბინადრებს, ვის გასხვისებას აპირებენ და ვისი გადაბირება სურთ? – ეს ის კითხვებია, რომლებიც უახლოეს ორ თვეში ალბათ ყველაზე აქტუალური იქნება. სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტომდე გახსნილია და ბუნებრივია, რომ მთავარი გარიგებები წინ გველის – თუმცა, რამდენიმე საინტერესო შეთანხმება უკვე შედგა და გარკვეული კონტურებიც გამოიკვეთა. ქვემოთ, ყველა შემდგარ ტრანსფერს გაეცნობი, მაგრამ იქამდე, საინტერესო სიახლეებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა...

იუვე ხურდება

ტურინის "იუვენტუსის" მესვეურებმა, **მაურისიო ისლასა** და **კვადვო ასამოას** სახით უკვე გადაბირეს ორი ძლიერი ფეხბურთელი და როგორც ჩანს, გაჩერებას არც სამომავლოდ აპირებენ. გუშინ გვიან საღამოს, **ლუსიოს** საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო და როდესაც თქვენ ამ სტრიქონებს კითხულობთ, დიდი ალბათობით, ბრაზილიელი მცველი უკვე ტურინული გრანდის ფეხბურთელია. გარდა ამისა, პიემონტელებმა **ფედერიკო ბალცარეტის** დაადგეს თვალი და თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, უახლოეს მომავალში "პალერმოს" ოფიციალურ შეთავაზებას გაუკეთებენ. შეგახსენებთ, რომ ბალცარეტი 2005-2007 წლებში უკვე იცავდა "ვეკია სენიორას" ღირსებას და შემდეგ, "ფიორენტინაში" გადაბარგდა. როგორც ჩანს, ევროპის ჩემპიონატზე ფედერიკოს ასპარეზობამ "იუვეს" სამნვრთნელო შტაბი მოხიბლა და ეს ამბავიც ამას უნდა მივაწეროთ. ვნახოთ, რა წინადადებით მიმართავენ ტურინელები სიცილიელებს – **მაურიციო ძამპარინის** რომ ბალცარეტის გასხვისება არ სურს, ეს რამდენჯერმე საჯაროდ განაცხადა.

დი ნატალემ გადაიფიქრა

დაახლოებით თვე-ნახევრის წინ, **ანტონიო დი ნატალემ** საგანგებო ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებდა, ანუ, კარიერას დაასრულებდა. ბევრისთვის, ეს ინფორმაცია შოკისმომგვრელი გამოდგა, რადგან ტოტო შესანიშნავ ფორმაშია, რაც გასულ სეზონშიც დაამტკიცა, როცა ბომბარდირთა დავაში მხოლოდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ჩამორჩა.

გუშინ, ანტონიო დი ნატალემ "უდინეზეს" მესვეურებთან მოლაპარაკება გამართა და გადაწყვეტილებაც შეცვალა – დიახ, ანტონიო კიდევ ორი წლით დარჩება ფეხბურთში და კარიერას 2014 წლის ზაფხულში დაასრულებს – მოვუსმინოთ ტოტოს: "*უდინური კლუბის მესვეურებმა დამარწმუნეს, რომ კარიერის დასრულებაზე ფიქრი ჯერ ადრეა და უმჯობესია, ახალი ხელშეკრულება გავაფორმო. ევროპის ჩემპიონატის დროს, ამაზე მეც ვფიქრობდი და მივხვდი, რომ ამ ეტაპზე, ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ძალიან გამიჭირდება. თავს კარგად ვგრძნობ, ოპტიმალურ ფორმაში ვარ და ვეცდები გულშემატკივრები კიდევ გავახარო გოლებით*".

დე ლაურენტისი გაცხარდა

იტალიურ პრესაში არ ცხრება საუბრები იმის შესახებ, რომ "იუვენტუსის" მესვეურები **ედინსონ კავანის** გადაბირებას ლამობენ და მიზნის მიღწევასთან ძალიან ახლოს არიან. ტურინელებს რომ ერთი სუპერფორვარდის დამატება სურთ, დიდი ხანია ვიცით და ხან **რობინ ვან პერსის** მიედნენ, ხან **ლუის სუარესს** და ხანაც **ქარიმ ბენზემას**; თუმცა, ბოლო პერიოდში, სწორედ კავანის თემაა აქტუალური, რამაც "ნაპოლის" პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** წყობიდან გამოიყვანა – მოვუსმინოთ სენიორ აურელიოს:

"*ჟურნალისტები ნამდვილი იდიოტები ხართ, რადგან ფულის მეტი არაფერი გაინტერესებთ. მხოლოდ ის გინდათ გაიგოთ, რამდენს გვთავაზობს "იუვენტუსი" და რა ფასში გავასხვისებთ კავანის. მინდა გაგაწბილოთ და გითხრათ, რომ ედინსონი არ იყიდება და კიდევ დიდხანს ითამაშებს "ნაპოლის" შემადგენლობაში. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება აღარ მომიწევს*".

ფედერიკო ბალცარეტი "იუვენტუსის" სამიზნეშია

ლაციოს ახალი სამიზნე

დიდი ხანია საუბრობენ იმის შესახებ, რომ "ლაციოს" მესვეურებს მოსკოვის ცსკა-დან **კეისუკე ჰონდას** გადაბირება სურთ, მაგრამ ამ საქმეს არა და არ დაადგა საშველი. სამაგიეროდ, დიდია შანსი, რომაელებმა სხვა ფრონტზე მიაღწიონ წარმატებას და 21 წლის მცველი, **დავიდე სანტონი** გაიფორმონ. გემახსოვრებათ, სანტონი თავის დროზე "ინტერში" ასპარეზობდა და ამომავალი ვარსკვლავის სტატუსიც ჰქონდა, თუმცა **დუგლას მაიკონთან** კონკურენციაში დაიჩაგრა და იძულებული გახდა, რომ იჯარის წესით "ჩეზენაში" გადასულიყო; შემდეგ, მისით "ნიუკასლი" დაინტერესდა და დავიდემაც ინგლისში ამოჰყო თავი.

ჯერ კიდევ გასული სეზონის მსვლელობისას, სანტონმა არაერთხელ განაცხადა, რომ სამშობლოში სურდა დაბრუნება და აი, ამის შესანიშნავი შანსი მიეცა – მოლაპარაკების დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ როგორც "გაძეტა დელო სპორტში" დაიწერა, მხარეები შეთანხმებასთან ძალიან ახლოს არიან. როგორც რომაული კლუბის პრეზიდენტმა, **კლაუდიო ლოტიტომ** განაცხადა, სანტონი მისი პრიორიტეტული სამიზნეა და ყველაფერს გააკეთებს, რომ ჯერ კიდევ იმედისმომცემი მცველი თავისთან წაიყვანოს. ვნახოთ, ყველა კითხვას მალე გაეცემა პასუხი.



ანტონიო დი ნატალემ კარიერის დასრულება გადაიფიქრა

იუვენტუსი

წავიდნენ: თ.ა; დელ პიერო – 4.0 მლნ; იმობილე (ჯენოა) – თ.ა; მანინგერი - გროსო (კარიერა დაასრულა) – 1.5 მლნ; პასკუატო (უდინეზე).

მივიდნენ: 9 მლნ; ასამოა (უდინეზე) - 9.4 მლნ; ისლა (უდინეზე) – 3.8 მლნ; ლეალი (ბრეშა) – თ.ა; პოგბა (მანჩესტერ იუნაიდეტი, ინგლისი) – 11 მლნ; ჯოვინკო (პარმა) – 8 მლნ; კასერესი (სევილია).

მილანი

წავიდნენ: თ.ა; პაზინი (ჯენოა) - თ.ა; მისკევიჩი (ვისლა, პოლონეთი) – ოდო (კარიერა დაასრულა) – თ.ა; ნესტა – თ.ა; გატუზო (სიონი, შვეიცარია) - ინძაგი (კარიერა დაასრულა); თ.ა; ვან ბომელი (ჰსვ, ჰოლანდია) – თ.ა. ზეედორფი (ბოტაფოგო, ბრაზილია) – თ.ა; ძამბროტა.

მივიდნენ: 4 მლნ; აჩერბი (კიევი) – ა; კონსტანტი (ჯენოა) – 0.5 მლნ; გაბრიელი (კრუზეირო, ბრაზილია) – თ.ა; მუნტარი (ინტერი) – თ.ა; მონტოლივო (ფიორენტინა) – თ.ა; ტრაორე (ნანსი).

უდინეზე

წავიდნენ: ა; პასკუატო (ბოლონია) – 9 მლნ; ასამოა (იუვენტუსი) – 9.4 მლნ; ისლა (იუვენტუსი) – 5 მლნ; დენისი (ატალანტა) – ა; ფლორო ფლორესი (გრანადა, ესპანეთი) – 3 მლნ; დუბაი (სოშო, საფრანგეთი) – თ.ა; ვუადინოვიჩი (შტურმი, ავსტრია) – თ.ა; ზლამალი (სიგმა, ჩეხეთი).

მივიდნენ: 1.5 მლნ; პასკუატო (იუვენტუსი) – 3 მლნ; ვილიანსი (ფლამენგო, ბრაზილია) – 3 მლნ; ორტო (კანი, საფრანგეთი) – 3 მლნ; აპლანი (მალდონალდო, ურუგვაი) – 0.5 მლნ; პავლოვსკი (ლეგია, პოლონეთი).

ბოლონია

წავიდნენ: თ.ა; დი ვაიო (მონრეალი, კანადა) – თ.ა; რაგი (მონაკო, საფრანგეთი).

მივიდნენ: ა; პასკუატო (უდინეზე) – თ.ა; რივეროლა (ბარსელონა B).

კიევი

წავიდნენ: 1 მლნ; ტალო (რომა) – 4 მლნ; აჩერბი (მილანი).

მივიდა: თ.ა; ტანალია (ჯაკომენსე).

კატანია

წავიდა: არავინ.

მივიდა: ა; სალიფუ (ფიორენტინა).

ატალანტა

წავიდნენ: თ.ა; ბასელი (ჩიტადელა) – თ.ა; ბაშა (ტორინო) – ა; სუაგერი (პიზა) – დონი (კარიერა დაასრულა).

მივიდნენ: 5 მლნ; დენისი (უდინეზე) – 1 მლნ; კაცოლა (იუვე სტაბია).

ფიორენტინა

წავიდნენ: თ.ა; ამაური (პარმა) – ა; სალიფუ (კატანია) – თ.ა; კროლდრუპი – თ.ა; მონტოლივო (მილანი) – თ.ა; ნატალი.

მივიდა: 3.5 მლნ; კასანი (პალერმო).

სიენა

წავიდნენ: 1.5 მლნ; როზეტინი (კალიარი) – თ.ა; ოდიბე (არსენალი, უკრაინა).

მივიდა: 1.3 მლნ; დესტროყ (ჯენოა).

კალიარი

წავიდა: არავინ.

მივიდნენ: 5.5 მლნ; რიბეირუ (რენტისტასი) – 3.2 მლნ; პინილია (პალერმო) – 1.5 მლნ; როზეტინი (სიენა).

ლაციო

წავიდა: არავინ.

მივიდა: თ.ა; ედერსონი (ლიონი, საფრანგეთი).

ნაპოლი

წავიდა: 26 მლნ; ლავეცი (პსჟ, საფრანგეთი).

მივიდნენ: თ.ა; ბარიტე (ვიჩენცა) – 7.5 მლნ; პანდევი (ინტერი).

ინტერი

წავიდნენ: 7.5 მლნ; პანდევი (ნაპოლი) – თ.ა; მუნტარი (მილანი) – კორდობა (კარიერა დაასრულა).

მივიდნენ: თ.ა; ბარდი (ლივორნო) – 11 მლნ; პალასიო (ჯენოა) – 11 მლნ; გუარინი (პორტუ, პორტუგალია).

რომა

წავიდნენ: თ.ა; სისინიო – 0.25 მლნ; პეტინარი (კროტონე) – 0.3 მლნ; სტოიანი (ბარი) – 0.25 მლნ; ფლორენცი (ბარი)- 1.2 მლნ; კაპრარი (პესკარა).

მივიდნენ: 3.5 მლნ; მარკინიო (ფლუმინენსე, ბრაზილია), 1 მლნ; ტალო (კიევი) – 0.1 მლნ; მალომო (ალბინოლეფე).

პარმა

წავიდნენ: ა; ფელშერი (პადოვა) – ა; სკიავი (სპეცია) – 11 მლნ; ჯოვინკო (იუვენტუსი), თ.ა; ლაპადულა (ჩეზენა).

მივიდნენ: თ.ა; ამაური (ფიორენტინა) – 3.5 მლნ; ბიაბიანი (სამპდორია) – 2.5 მლნ; ბელფოდილი (ლიონი, საფრანგეთი) – 3.8 მლნ; პავონი (ნასიონალი, ურუგვაი) – 1 მლნ; ჰაიმე ვალდესი (სპორტინგ, პორტუგალია) – თ.ა; ნინისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი).

პალერმო

წავიდნენ: 3.2 მლნ; პინილია (კალიარი) – 3.5 მლნ; კასანი (ფიორენტინა) – თ.ა; გონსალესი (ნოვარა) – თ.ა; ლარიბი (სასუოლო).

მივიდნენ: 0.8 მლნ; მორგანელა (ნაპოლი) – 1.3 მლნ; ბრიენცა (სიენა).

ჯენოა

წავიდნენ: თ.ა; ედუარდო (ისტანბულსფორი, თურქეთი) – 0.2 მლნ; კარაჩოლო (ბრეშა) – 1.3 მლნ; დესტრო (სიენა) – თ.ა; პარფე (ჩეზენა) – ა; კონსტანტი (მილანი) – 11 მლნ; პალასიო (ინტერი) – 5 მლნ; პაპასტატოპულოსი (ვერდერი, გერმანია). **კალაძე** (კარიერა დასრულა)

მივიდნენ: თ.ა; დიეგო როსადუ (სპორტინგ, პორტუგალია) – თ.ა; პაზინი (მილანი) – 1 მლნ; ანსელიმუ (პალმეირასი, ბრაზილია) – თ.ა; ფონ ბერგენი (ჩეზენა) – 4 მლნ; იმობილე (ჩეზენა) – 1.13 მლნ; პოპო (უნივერსიტარიო, პერუ) – თ.ა; ტოშერი (გენკი, ბელგია).

პესკარა

წავიდა: თ.ა; სანსოვინი (სპეცია).

მივიდნენ: თ.ა; ბერარდოკო (პიზა), 1.2 მლნ; კაპრარი (რომა).

ბორინო

წავიდა: თ.ა; ებაგუა (ვარეზე).

მივიდა: თ.ა; ბაშა (ატალანტა).

სამპდორია

წავიდა: 3.5 მლნ; ბიაბიანი (პარმა).

მივიდა: 3.2 მლნ; ედერი (ჩეზენა).

თ.ა - თავისუფალი აგენტი

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა

დიდია შანსი, დავიდე სანტონი "ლაციოში" ვიხილოთ

ბაიერნი. სერიოზული გეგმები ახალ სეზონში

რას აპირებს ზამერი მიუნხენში?

მათიასი: დრო ცოტაა, საქმე - ბევრი, მაგრამ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბაიერნის ფანებს უნდათ!

„ბაიერნის“ პრეზიდენტმა ული ჰაინესმა და ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ მათიას ზამერი ახალი სპორტული დირექტორის რანგში ოფიციალურად წარადგინეს. ზამერის მიზანია, რეკორდმაისტერი რაც შეიძლება სწრაფად დააბრუნოს გერმანული საკლუბო ფეხბურთისა და/ან ევროპის მწვერვალზე.

ბავარიელებმა მზადება ევროელების გარეშე, მაგრამ ახალწვეულებით დაიწყეს. მარცხნიდან: მიტჩელ ვაიზერი, ემრე ჩანი, ტომ შტარკე, ლუკას რედერი, კლაუდიო პისარო, მწვრთნელი იუპ ჰაინკესი, დანტე და ჯერდან შაჩირი

„დრო ცოტაა, საქმე კი ბევრი, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვარ. განსაკუთრებულ ცაიტ ნოტში პირველი გუნდია, რომელიც ვალდებულია, ყოველთვის და ყველა ტურნირზე უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. რაც შეეხება მეორე და ბავშვთა გუნდებს, აქ დრო საკმარისია და მაგრად ვიმუშავებთ,“ - განაცხადა 1996 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა ზამერმა მისი წარდგენისადმი მიძღვნილ სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

შედეგი, რაც შეიძლება სწრაფად

ზამერმა რეკორდმაისტერთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჟურნალისტებს ისიც უთხრა, რომ ჯერ კიდევ გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულ დირექტორად დანიშვნამდე შევუთანხმდი პრეზიდენტს, რომ თუ ოდესმე „ბაიერნში“ დამიძახებდნენ და მეც თანახმა ვიქნებოდი, უპრობლემოდ გამიშვებდაო: *„ბაიერნში“ რომელიმე საპასუხისმგებლო პოსტის შეთავაზება გერმანულ ფეხბურთში დასაქმებული ნებისმიერი ადამიანისთვის განსაკუთრებული შემთხვევაა. მინდა, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვოლფგანგ ნირსბახს მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ პრობლემები არ შემიქმნა და მიუნხენში გამომიშვა,“* - აღნიშნა ზამერმა, რომელიც აქამდე სწორედ საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი გახლდათ.

მიუნხენში მათიას ზამერის უმთავრესი მისია „ბაიერნის“ სწორ და წარმატებულ გზაზე დაბრუნებაა. რაკი ბუნდესლიგის ბოლო ორი სეზონი დორტმუნდის „ბორუსიამ“ მოიგო, რეკორდმაისტერი კი ბოლო 16 წლის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ პირველად დარჩა ჩემპიონობის გარეშე, მათიასს უნდა, რომ კლუბში გარდატეხა შეიტანოს. მისი თქმით, ფეხბურთელები თავს ვეღარაფრით გაიმართლებენ.

„ბაიერნის“ ახალი სპორტული დირექტორი მათიას ზამერი

ზამერი: წუწუნი არავინ გამაგონოს!

„არც ერთ ალიბის არ მივიღებ და ვერც იმას ავიტან, რომ ფეხბურთელებმა იწუწუნონ. პირველივე დღიდან სერიოზული მუშაობაა საჭირო,“ - თქვა ზამერმა და ამით პირველ რიგში იმ ფეხბურთელებს შეუტია, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობდნენ და ამის გამო ხანგრძლივ შვებულებებს ითხოვენ.

ზამერი: *„სამი კვირა აბსოლუტურად საკმარისი დროა იმისათვის, რომ ფეხბურთელმა ფიზიკურად და მენტალურად კარგად დაისვენოს და სამუშაო წლის დასაწყისს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. შვებულება მეტად არავის გაუხანგრძლივდება და ვერავინ გაბედავს დაწუწუნებას, საკმარისად ვერ დავისვენეო. როცა გუნდს ლიდერებიც შეუერთდებიან, პირველივე ვარჯიშიდან მაქსიმალურად უნდა დაიტვირთონ და დაგვანახვონ, რომ „ბაიერნში“ თამაშს იმსახურებენ. პირადად მე, აქტიური სპორტული კარიერის დროს სამკვირიანი შვებულებაც კი არასდროს მქონია და მიუხედავად ამისა, არასდროს მიწუწუნია!“*

ზამერის უფლება-მოვალეობები „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა რუმენიგემ განმარტა, რომლის თქმით, მათიასი რეკორდმაისტერის ყველა გუნდს, სამწვრთნელო შტაბს, ბავშვთა გუნდებსა და სკაუტებს გააკონტროლებს. რუმენიგემ ზამერს უმნიშვნელოვანესი ფიგურა უწოდა და თქვა, მათიასი ამიერიდან „ბაიერნის“ გულიაო.

აღსანიშნავია, რომ ზამერს „ბაიერნში“ მეცნიერი, დოქტორი **კარსტენ შუმანი** მიჰყავს, რომელიც მათიასს ყველგან დაჰყვებოდა (შტუტგარტი, დორტმუნდი, გერმანიის საფეხბურთო კავშირი), ბოლოს კი მათ ერთად დაწერეს წიგნი სათაურით „გრძელი გზა წარმატებისკენ – გერმანიის საფეხბურთო კავშირის განათლების კონცეფცია“.

მათიასი მწვრთნელობას გამორიცხავს

„ბაიერნში“ მათიასის მოულოდნელი დანიშვნის შემდეგ გავრცელდა ჭორები იმის შესახებ, რომ მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები მას მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** შემცვლელად ამზადებენ. როგორც იცით, ჰაინკესს ბავარიელებთან კონტრაქტი გაისად უმთავრდება და ჰაინესსა და რუმენიგეს ახალი მწვრთნელი ჰყავთ მოსაძებნი. პრესკონფერენციის მიწურულს ზამერი ამ მითქმა-მოთქმასაც გამოეხმაურა და განმარტა, რომ მწვრთნელად მუშაობას არ აპირებს.

„ბაიერნს“ ახლა ძალიან გამოცდილი და ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი წვრთნის. დღეს, პირველივე ვარჯიშზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჰაინკესი გენიალური მწვრთნელია. მე მას ასპროცენტიან ნდობას და სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ. პირადად მე მწვრთნელობა არ მინდა,“ - განაცხადა „ბაიერნის“ ახალმა სპორტულმა დირექტორმა.

პირველი ვარჯიში ევროელების გარეშე

პრესკონფერენციამდე ბავარიელებმა ახალი, ბუნდესლიგის 50-ე სეზონისთვის მზადება დაიწყეს – გასული სეზონის შემდეგ ჰაინკესმა გუნდი პირველად ავარჯიშა. ზამერი ფეხბურთელებს რუმენიგემ წარუდგინა. ჩემპიონთა ლიგის წაგებული ფინალიდან 45 დღის შემდეგ „დონ იუპის“ განკარგულებაში საკმაოდ ცოტა ფეხბურთელი იყო, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილე მოთამაშეები ჯერ კიდევ შვებულებაში არიან.

ევროელთაგან „ბაიერნში“ ჯერ ახალწვეული **მარიო მანჯუკიჩი** („ვოლფსბურგიდან“ იყიდეს) და სხვა ლეგიონერები (**ფრანკ რიბერი, არიენ რობენი**) დაბრუნდებიან, მერე კი გუნდს გერმანიის ნაკრების ბაიერნელი ფეხბურთელებიც შეუერთდებიან.

სამაგიეროდ, პირველ ვარჯიშზე, მიუნხენური გრანდის ფანებს სხვა ახალწვეულების ხილვის საშუალება მიეცათ: **ჯერდან შაჩირიმ** (ბაზელიდან), **დანტემ** (გლადბახიდან), მეკარე **ტომ შტარკემ** (ჰოფენჰაიმიდან), ნიჭიერმა **მიტჩელ ვაიზერმა** (კიოლნიდან) და **კლაუდიო პისარომ** (ვერდერიდან) ჰაინკესის ხელმძღვანელობით პირველად ივარჯიშეს. გუნდთან ერთად ვარჯიშობენ მოყვარულებიდან გადმოყვანილი მოთამაშეებიც: **ემრე ჩანი** და **ლუკას რედერი**.

ივლის-აგვისტოში ბავარიელები გაძლიერებას კიდევ გეგმავენ და ახლა უკვე საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „ბაიერნს“ ბილბაოს „ატლეტიკის“ უნიჭიერესი ნახევარმცველის, **ხავი მარტინესის** გადაბირება უნდა. თუმცა ბასკები ამ უკანასკნელს 40 მილიონ ევროდ აფასებენ, რაც მიუნხენში ეძვირებათ.

ექვსი ჯვირა დორტმუნდთან მატჩამდე

მოკლედ, მწვრთნელ ჰაინკესს ზუსტად 6 კვირა აქვს იმისათვის, რომ გუნდი დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მორიგი პრინციპული მატჩისთვის მოამზადოს – შეგახსენებთ, რომ გერმანიის სუპერთასისთვის ბრძოლა 12 აგვისტოს, მიუნხენში გაიმართება. ეს რეკორდმაისტერისთვის ახალი სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი იქნება, ხოლო ერთი კვირის შემდეგ კი მიუნხენელები გერმანიის თასის პირველ რაუნდში მეორე ბუნდესლიგაში აღზევებულ „იან რეგენსბურგს“ შეხვდებიან. გერმანიის ჩემპიონატი 25 აგვისტოს იწყება და „ბაიერნი“ პირველ ტურში ელიტაში აღზევებულ „ფიურტს“ უნდა შეხვდეს.

გერმანიის ჩემპიონი

დორტმუნდი არაფერს გეგმავს!

კლოპმა მაინც მოკრძალებულად დაიწყო: ჩვენი მიზანი ისევ ჩემპიონთა ლიგის საგზურია!

გუშინ, ახალი საკლუბო სეზონისთვის მზადება გერმანიის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, დორტმუნდის „ბორუსიამაც“ დაიწყო. პირველი ვარჯიშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე BVB-ის ხელმძღვანელებმა ბუნდესლიგის 50-ე სეზონის მიზნებზე ისაუბრეს.

„მიუხედავად იმისა, რომ ზედიზედ ორჯერ გავხდით გერმანიის ჩემპიონები, წელს კი სულაც დუბლი შევასრულეთ, ჩვენი უმთავრესი მიზანი მაინც ისევ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, - განაცხადა „დორტმუნდის“ გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ**, - *საქმე იმაშია, რომ გერმანიაში ჯერ კიდევ არსებობს გუნდი, რომელსაც ჩვენზე გაცილებით დიდი ფინანსური რესურსი აქვს და ეს მიუნხენის „ბაიერნია“. შესაბამისად, გერმანიის ჩემპიონატის უპირველესი ფავორიტი ისევ რეკორდმაისტერი იქნება, თუმცა ჩვენ კვლავ მაქსიმალურად დავიხარჯებით. დოტმუნდში უდიდესი ეიფორიაა და მინდა, რომ ვითარება ჩვენმა ფანებმაც რეალისტურად შეაფასონ.“*

გენერალურ მენეჯერს ჩემპიონების თავკაცი **იურგენ კლოპიც** ეთანხმება: *„ჩვენ, ყველანი, ვამაყობთ იმით, რომ ზედიზედ ორჯერ გავხდით გერმანიის ჩემპიონები, მაგრამ „ბაიერნს“ ჯერ კიდევ ჩვენზე გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს. ცხადია, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რეკორდმაისტერმა ტიტული ვერ წაგვართვას, მაგრამ ჩემპიონობა აუცილებელი მოთხოვნა ვერ იქნება. „ბორუსია“ ჯერ კიდევ შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესშია,“* - აღნიშნა კლოპმა.

რაც შეეხება სპორტულ მხარეს: დორტმუნდელებმა გუშინ ევრო 2012-ის მონაწილე ფეხბურთელების გარეშე ივარჯიშეს. პოლონელები **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი, რობერტ ლევანდოვსკი** და **ლუკაშ პიშჩეკი** „ბორუსიას“ 17 ივლისს შეუერთდებიან, ხორვატი **ივან პერიშიჩი** გუნდთან ერთად 19 ივლისიდან იქნება, ხოლო გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები კი შვებულებიდან 22 ივლისს დაბრუნდებიან.

კლოპმა და ვატცკემ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმას, რომ **შინჯი კაგავას** „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაბარგების შემდეგ, „ბორუსია“ არც ერთი ფეხბურთელის დათმობას აღარ აპირებს. სამაგიეროდ, გამორიცხული არაა, რომ 31 აგვისტომდე „დორტმუნდი“ კიდევ გაძლიერდეს. თუმცა ვატცკეს თქმით, კონკრეტული ჯერ არაფერი დაგეგმილა. შეგახსენებთ, რომ BVB-მ მომავალი სეზონისთვის დღემდე ოთხი ფეხბურთელი (**როისი, ბიტენკური, შიბერი** და **კირხი**) დაიბევა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ახალი სეზონისთვის მზადება დორტმუნდელებმაც დაიწყეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დანაშაული და სასჯელი

ბრენო ციხეში ჩააყუდეს!

3 წლით და 9 თვით! არადა, ბრაზილიელი ლაციოში გადადიოდა...

ბრენოს განაჩენი გუშინ გამოუტანეს

მიუნხენის რეგიონულმა სასამართლომ „ბაიერნის“ ყოფილ ფეხბურთელს, ბრაზილიელ მცველ **ბრენოს** სასტიკი განაჩენი გამოუტანა: 22 წლის მოთამაშეს გუშინ 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და თანაც, ბრენოს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებაც კი არ დაუტოვეს! სასამართლომ ბრაზილიელი დამნაშავედ ცნო – პროკურატურა ბრენოს ციხეში 5 წლით ჩაყუდებას, მისი ადვოკატი კი გათავისუფლებას ითხოვდა.

ბრენო „ბაიერნის“ ფეხბურთელი 30 ივნისის შემდეგ აღარ არის, რადგან რეკორდმაისტერთან კონტრაქტი ამოეწურა და რომის „ლაციოში“ გადასვლას აპირებდა, რაც, რა თქმა უნდა, ვერ მოხდება – „ლაციო“ კი არა, მისი კარიერა შეგვიძლია დასრულებულად მივიჩნიოთ. შეგახსენებთ, რომ ბრენოს ბრალად 2011 წლის 20 სექტემბერს მიუნხენის გარეუბან გრიუნვალდში ნაქირავები ვილის გადაწვა ედებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრენომ ვილას ცეცხლი განგებ წაუკიდა და მისი მიზანი სადაზღვევო კომპანიის გაცურება იყო.

განაჩენის გამოცხადებამდე ბრენომ დუმილი დაარღვია და მომხდარისთვის ბოდიში მოიხადა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. აქვე გეტყვით, რომ მან რამდენიმე დღის წინ მისცა ჩვენება, რომელშიც აცხადებს, „ბაიერნში“ ნებისმიერ მედიკამენტზე ხელი მიმიწვდებოდაო, რითაც მიუნხენურ კლუბსაც უყენებს ბრალდებას. ამ საკითხის განხილვა გრძელდება, თავად ბრენო კი უკვე ციხეშია.

გოტფრიდ ლენცი

● ბარსელონა

ხორდი ალბა

გუშინ კამპ ნოუ, დღეს კონტრაქტი

გუშინ ევროპის ჩემპიონი **ხორდი ალბა** „კამპ ნოუს“ ეწვია, დღეს ის ოფიციალურად გააფორმებს ხელშეკრულებას „ბარსელონასთან“. როგორც ახალწვეულმა, მან ტრადიციული ფოტოც გადაიღო კლუბის ლოგოსთან. შემდეგ ესპანეთის ნაკრების მარცხენა მცველმა მცირე ინტერვიუ მისცა „ბარსა ტვ“-ის, საღამოს კი კატალონიურ ქალაქ ოსპიტალეტში გაემგზავრა, სადაც ქალაქის მკვიდრს მეფური დახვედრა მოუწყვეს.

დღეს დილით ხორდი სრულ სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რასაც მოჰყვება კონტრაქტზე ხელისმოწერის საზეიმო ცერემონიალი. ეს ყველაფერი „კამპ ნოუზე“ მოხდება - „სალა პარისში“.

გაირკვა, რომ ალბამ 18-ნომრიანი მაისურა აირჩია, რომლითაც მან ევრო 2012-ზე ესპანეთის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. გასულ სეზონში ეს ნომერი „ბარსელონაში“ გამოუყენებელი იყო, უფრო ადრე 18 ნომრით „ბარსაში“ **მილიტო, ესკერო** და **გაბრი** თამაშობდნენ. შეგახსენებთ, რომ 23 წლის ალბა „ბარსელონას“ აკადემიის აღზრდილია და ის მშობლიურ კლუბს 7-წლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა. დღეს ის ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და „ვალენსია“ 14 მილიონ ევროს მიიღებს, მაგრამ დაკარგავს შესანიშნავ ფეხბურთელს.

ანშლაგი შვედეთში

8 აგვისტოს შვედურ გეტებორგში „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ბარსელონა“ ამხანაგურად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. „ულევის“ სტადიონი 40 ათას მაყურებელს იტევს. ინტერესი კი ამ თამაშისადმი უდიდესია. წარმოიდგინეთ, ყველა ბილეთი გაყიდვაში გამოსვლიდან ორიოდ საათში გათავდა, „ულევიზე“ ანშლაგი იქნება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მიონხენგლადბახის ბორუსია

ლუსიენი რჩება!

გლადბახი ახალი თავდამსხმელის ძებნას აგრძელებს

ლუსიენ ფავრმა გლადბახთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

გუშინ, მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს: მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა** გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა! შვეიცარიელი სპეციალისტის ხელში „გლადბახი“ შესანიშნავად ათამაშდა და შარშან მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების პირას მისულმა კლუბმა გასულ სეზონში, ყველასათვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, რის გამოც ფავრს სერიოზული მთხოვნელები გამოუჩნდნენ, მაგრამ 54 წლის მწვრთნელმა მიონხენგლადბახში დარჩენა გადაწყვიტა. ფავრის ახალ ხელშეკრულებას ვადა 2015 წლამდე აქვს.

„ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს საკმაოდ დიდხანს ვანარმოებდი და მიხარია, რომ ყველაფერზე შევთანხმდით. საქმე ყველაზე ნაკლებად ეხებოდა ხელფასს, მე გუნდის სპორტული პერსპექტივები უფრო მაინტერესებს,“ - აცხადებს ფავრი, რომელმაც უკვე დაკარგა ორი ლიდერი – დაცვის ბურჯი **დანტე** „ბაიერნში“ გადავიდა, ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი **მარკო როისი** კი – დორტმუნდის „ბორუსიაში“.

თავდამსხმელის ძებნა გრძელდება

სამწვრთნელო საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, მიონხენგლადბახელებმა მორიგ ტრანსფერებზე ზრუნვა დაიწყეს.

„პირველ რიგში ახალი მაღალი კლასის თავდამსხმელი გვჭირდება და ამ საკითხზე ყველა ერთად ვმუშაობთ,“ - ეს სპორტული დირექტორის, **მაქს ებერლის** სიტყვებია, რომელიც დასძენს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი აუცილებლად უნდა გადავლახოთო.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით „გლადბახისთვის“ ყველაზე სასურველი კანდიდატი ჰოლანდიური „ტვენტეს“ გოლეადორი **ლუუკ დე იონგია,** რასაც ებერლი არც უარყოფს და არც ადასტურებს – მისი თქმით, სანამ ამა თუ იმ ფორვარდის ტრანსფერი საბოლოოდ არ გადაწყდება, მიონხენგლადბახელები ოფიციალურად არაფერს იტყვიან.

შეგახსენებთ, რომ „გლადბახმა“ ახალი სეზონისთვის უკვე დაიბევა ისეთი ფეხბურთელები, როგორიც არიან **გრანიტ ჯაკა** (ბაზელიდან), **ალვარო დომინგესი** (ატლეტიკოდან), **პენიელ მლაპა** (ჰოფენჰაიმიდან) და **ბრანიმირ ჰრგოტა** (იონკოპინგიდან).

გოტფრიდ ლენცი

● ტოტენჰემი

ვილაშ ბოაშის ლირსება

ანდრე ვილაშ ბოაში

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ "ტოტენჰემმა" მთავარ მწვრთნელად **ანდრე ვილაშ ბოაში** დანიშნა. 34 წლის სპეციალისტმა "დეზებთან" 3-ნლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბის ვებგვერდისთვის მან მცირე კომენტარი გააკეთა: *"ტოტენჰემი" დიდი კლუბია. უზარმაზარი ტრადიციებითა და ფანტასტიკური გულშემატკივრებით როგორც ინგლისში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩემთვის დიდი პატივია ამ გუნდის თავკაცობა. ეს პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილია მწვრთნელისთვის. რამდენჯერმე მქონდა კონტაქტი კლუბის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლებთან და მათ პოზიციებს "ტოტენჰემის" სამომავლო სტრატეგიასთან დაკავშირებით მთლიანად ვიზიარებ. ასეთ ფეხბურთელებთან მუშაობას მსოფლიოში ყველა მწვრთნელი ისურვებდა. მიმაჩნია, რომ ერთად ჩვენ წარმატებულად ვიმუშავებთ უახლოესი რამდენიმე სეზონის განმავლობაში".*

როცა პორტუგალიელი მწვრთნელი აცხადებდა, ასეთ ფეხბურთელებთან სიამოვნებით ვიმუშავებო, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ რამდენიმე საათში "დეზები" საბოლოოდ დაიბევებდნენ ისლანდიელ ნახევარმცველს, 22 წლის **გილფი სიგურდსონს.** სიგურდსონის გადაბირებას "სუონსი" და "ლივერპულიც" ცდილობდნენ, მაგრამ გერმანულ "ჰოფენჰაიმს" ჩრდილოლონდონელებმა საუკეთესო პირობები შესთავაზეს. *"მოხარული ვართ, გაცნობოთ, რომ კლუბმა დაასრულა სიგურდსონის ტრანსფერზე მუშაობა. ფეხბურთელი გუნდს რამდენიმე დღეში შეუერთდება,"* – ნათქვამია "ტოტენჰემის" განცხადებაში.

ლევან ბიბილაშვილი

საჩუქრების სერია დაიწყო!
ჩერნიგოვსკოე ახალი გემოთი!
გაიგრილეთ ზაფხული "ჩერნიგოვსკოე"-სთან ერთად!
ჩაერთეთ აქციაში 1 ივლისიდან - 1 ოქტომბრამდე და თქვენ უმარავი საჩუქარი გელოდებათ!
* შეაგროვეთ ლუდი "ჩერნიგოვსკოე"-ს 1 ან 2 ლიტრიანი ბოთლის 10 ცალი თავსახური, წარადგინეთ საფოსტო განყოფილებაში ან ლოტოს ჯიხურებში და საჩუქრად მიიღეთ 30 წუთი სასაუბრო დრო "ბილაინი"-ს ქსელში. გადაუხიკეთ ბარათი, აკრიფეთ *108*ნომერი# და OK
* ეს ყველაფერი არ არის! დაგროვეთ 150, 300 ან 600 "ბილაინი"-ს წუთი თვის განმავლობაში და გახდით კეპის, მაისურის, ბურთის ტელევიზორის, "ვეროპარკი"-ს ბილეთის და კიდევ მრავალი პრიზის მფლობელი.
* დაგროვე ყველაზე მეტი "ბილაინი"-ს სასაუბრო დრო 1 თვის განმავლობაში და მიიღე პრიზი - 2000 ლარი.
* გსურთ სუპერ პრიზის მფლობელი გახდეთ?! გააქტიურდით! აქციის დასასრულს, ვინც ყველაზე მეტ "ბილაინი"-ს სასაუბრო დროს დაგროვებს - 10 000 ლარით დაჯილდოვდება!
შეაგროვე 1 და 2 ლიტრიანი ბოთლის თავსახურები და მიიღე საჩუქრები
დააგროვე 150 წუთი 300 წუთი 600 წუთი
10 თავსახური 30 წუთი ბილაინისაკენ
ჩერნიგოვსკოე
Чернігівське
CHITAE
ქალაქი ბათუმი, 1 ივლისიდან - 1 ოქტომბრამდე
ინფორმაციისთვის ბათუმში: ბულვარი, ბიბლიოთეკა, ბაბილინა, ბაბილინა, ბაბილინ

ძიუდო. მეტოქე

ოლიმპიადა უკრაინამაც გააარკვია

საყურადღებო მაგალითები საქართველოსთვის



არტიომ არშანსკი

ძიუდოში ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთმა ნაკრებმა - უკრაინამ გაარკვია ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა. იმათგან თამაშებში მონაწილეობა განაღდებული ჰქონდათ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ **გიორგი ზანთარაიას** (60), **სერგეი დრებოტს** (66), ევროპის ჩემპიონ **ვოლოდიმირ სოროკას** (73), **არტემ ვასილენკოს** (81) და მძიმეწონოსან **სტანისლავ ბონდარენკოს**, რადგან უკრაინელებს ამ წონებში სხვა ლიცენზიატები არ ჰყავდათ, დარჩენილ ორ წონაში კი კონკურენცია სლოვენიის ევროპის თასზე გადაწყდა. 90-ში გამოსვლის უფლება ოლიმპიური ვერცხლბრინჯაოს მფლობელმა **რომან გონტიუკმა** მოიპოვა ანუ **ვალერი ლიპარტელიანის** პოტენციურ მეტოქედ იქცა, 100-ში კი **არტემ ბლოშენკო** იჭიდავებს.

90-ში 28 წლის გონტიუკს კონკურენციას ევროპის სამგზის ჩემპიონი, 36 წლის **ვალენტინ გრეკოვი** და **ვადიმ სინიავსკი** უწევდნენ. სლოვენიაში ისინი მესამე წრიდან გამოვარდნენ, გონტიუკი კი ოთხი წმინდა მოგებით ნახევარფინალში გავიდა. იქ „ოქროს ქულით" დამარცხდა რუს **მაგომედ მაგომედოვთან**, ბრინჯაოსთვის კი მწვრთნელმა **ვიტალი დუბროვმა** აღარ აჭიდავა, რადგან კონკურენცია გარკვეული იყო და სპორტსმენს ის მედალი რომც მოეპოვებინა, პრაქტიკულს მაინც არაფერს აძლევდა. გონტიუკი თავის მესამე ოლიმპიადაზე იჭიდავებს, ოღონდ აქამდე თუ 81-ში გამოდიოდა, ახლა 90-ში იასპარეზებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სალიცენზიო რეიტინგში ამ სამეულიდან ყველაზე ცოტა ქულა გონტიუკს ჰქონდა, მაგრამ მწვრთნელმა ყურადღება კონკრეტულ მომენტში მომზადების დონეს მიაქცია და არა ქულებს. ვიმეორებ - ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და აღბათ, აჯობებს, სადღეისო მომზადებას დავეყრდნოთ და არა ქულებს. ბლოშენკომ ბევრად მარტივი ამოცანა გადაწყვიტა - მას კონკურენციას მხოლოდ **ვიაჩესლავ დენისოვი** უწევდა, რომელიც სლოვენიაში პირველივე წრეში დამარცხდა, ბლოშენკო კი ჩემპიონი გახდა.

ჩვენებურთა შანსები უკრაინელებთან

ვინაიდან გონტიუკი უკრაინელთა ყველაზე ტიტულოვანი ფალავანია, 90 კილოგრამი კი ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ლიპარტელიანი მას მხოლოდ ერთხელ შეხვდა - შარშან აბუ დაბის „დიდ პრიზზე" და მეოთხედფინალში მოუგო. ვნახოთ, რა მოხდება ოლიმპიადაზე.

სამწუხაროდ, 60 კილოგრამში უკრაინელთა ქართველ ზანთარაიას, რომელმაც იქაურებს პირველმა მოუპოვა მსოფლიოს ოქრო, ჩვენებთან დიდი უპირატესობა აქვს: თითქმის სულ უგებს თანამემამულეებს. **ამირან პაპინაშვილსა** და **ბეთქილ შუკვანს** ის 3-3-ჯერ შეხვდა და შუკვანს სამივე მოუგო, პაპინაშვილთან კი მხოლოდ პირველი შეხლა წააგო შორეულ 2007-ში. აფხაზეთიდან ლტოლვილი ზანთარაია ქართულ დუეტს ბოლოს შარშან შეხვდა ევროპის პირველობაზე - პაპინაშვილს მეოთხედფინალში მოუგო, შუკვანი კი ფინალში დაამარცხა. აქვე გეტყვით, რომ ზანთარაია ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონია, კონტინენტური ოქრო კი პირველად 2009 წელს თბილისში მოიპოვა.

სამაგიეროდ, 66-ში **ლაშა შავდათუაშვილს** სრული უპირატესობა აქვს დრებოტთან - ორივე პირადი შეხვედრა მოუგო. მათ შორის ბოლოს - ევროპირველობაზე, ჩელიაბინსკში. იმავე ტურნირზე **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) კარიერაში პირველად შეხვდა სოროკას და დამარცხდა. ჭრიკიშვილიც ერთხელ შეხვდა ვასილენკოს, მაგრამ ტატალაშვილისგან განსხვავებით, მოუგო - შარშან, რუმინეთის მსოფლიოს თასის ფინალში. ასევე ერთ ორთაბრძოლას მოიცავს ბლოშენკოსა და ცირეკიძის მეტოქეობაც - ჩვენებურმა მას იმ ავადსახსენებელი მსოფლიოს 2010 წლის პირველობის პირველივე წრეში მოუგო. ბლოშენკოს და ჟორჟოლიანს ერთმანეთში სამჯერ უჭიდავიათ და უკრაინელის აქტივში მხოლოდ ერთი მოგებაა. **ადამ ოქრუაშვილიც** (+100) ერთხელ შეხვდა ბონდარენკოს და მოუგო.

ებრაული სამართალი: ქართულის ანტიპოდი

როცა საქართველო კინკილა ლიცენზიებს შემოდგომის წინილებივით ითვლის და თუნდაც ერთი საგზურის შემატება გვიხარია, ამ დროს ისრაელი იმ ოლიმპიელებს, რომლებშიც მედლის მოპოვების პერსპექტივას ვერ ხედავს, ლონდონში წაყვანაზე უარს ეუბნება! ბუნებრივია, იქაურები ოლიმპიელებს პირდაპირ ამ ნიშნით არ ახარისხებენ, მაგრამ მიიღეს თამაშებში მონაწილეობის კრიტერიუმი, რაც დაახლოებით ამგვარ ქვეტექსტს შეიცავს, ღია ტექსტით კი დაფინანსებაზე უარი ძიუდოისტ **არტიომ არშანსკის** (60), მშვილდოსან **გუი მატცკინს** და კიდევ ორ მძლეოსანს ეუბნებიან. მძლეოსნებზე ვერაფერს გეტყვით, მატცკინმა ლიცენზია მაისში ამსტერდამში გამართულ ევროპის პირველობაზე მოიპოვა - სალიცენზიო ტურნირი მოიგო, არშანსკი კი ევროპულ კვოტაში მოხვდა.

ერთი შეხედვით, იქაურთა პოზიციაც გასაგებია - ფული მხოლოდ რეალურ კანდიდატებში გადაიხადონ და არა ტურისტებში, თუმცა ოლიმპიადა ხომ მხოლოდ სპორტი არაა, ეს მსოფლიოს ხალხთა კულტურული ფორუმიცაა და ძალზე ძნელია, სპორტსმენს იქ წასვლა დაუშალო. ამ ლოგიკით მაშინ იგივე სპორტსმენები არც მსოფლიო და ევროპის პირველობებზე უნდა გაუშვან. თან არშანსკისთან დაკავშირებით ერთი საინტერესო მომენტიცაა - ის ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, წლეულს ეროვნულ ნაკრებში პირველი სეზონი ჩაატარა და ეს ქულებიც მხოლოდ ერთი სეზონის მონაგარია. ამდენად, ის ნამდვილად არაა უპერსპექტივო და ოლიმპიადაზე გამოსვლა დიდ გამოცდილებას მოუტანს. აქვე შეგვიძლია ვალერი ლიპარტელიანის მაგალითიც გავიხსენოთ, რომელიც პეკინის ოლიმპიადაში არ გამოდიოდა, თუმცა მაინც წაიყვანეს ჩინეთში, რათა საკუთარი თვალით ენახა ეს დიდი ფორუმი, ეგრძნო მისი სული და ფსიქოლოგიურად მომზადებულიყო ამ თამაშებისთვის.

სწორედ ამ უცნაურობების გამო ებრაელმა ძიუდოისტებმა, ძირითადად რუსულენოვანმა ფალავნებმა არშანსკის დაცვა გადაწყვიტეს. მათ სათავეში არშანსკისავით რუსეთიდან წასული ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი **იოელ რაზვოზოვი** (73) უდგას, რომელმაც მედიას შემდეგი განუცხადა: *„ჩვენ გადავწყვიტეთ, გავილაშქროთ ისრაელის ოლიმპიური კომიტეტის ამ ბუნდოვანი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. თუ სპორტსმენი აკმაყოფილებს საერთაშორისო ფედერაციის კრიტერიუმებს, რატომ უნდა შევუქმნათ მას დამატებითი სიძნელეები? როგორც ჩანს, ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტს ეშინია, რომ არშანსკი პირველივე წრიდან გამოვარდება და ამიტომ არ მიიჩნევს საჭიროდ ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას. ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა ყველა სპორტსმენის ოცნებაა და საამისოდ დღე და ღამე მუშაობს, თუ არშანსკი არ წავა ოლიმპიადაზე, ამით წააგებს ყველა, რადგან ეს ფაქტი ახალგაზრდებს დააფრთხობს და დაკარგავთ მომავალ თაობას"*. ძიუდოისტები საპროტესტო აქციის მოწყობას აპირებენ, როცა ყველა მათგანი კიმონოში გამოწყობილი მივა ოლიმპიურ კომიტეტთან.

ირაკლი თავაძე

რომან გონტიუკი

ჩოგბურთი

ანა ტატიშვილი

ანამ მეორე ბარიერიც გადალახა

იტალიურ ბიელაში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით აიღო სტარტი **ანა ტატიშვილმა.** გუშინ მან მე-2 ტურშიც იყოჩაღა - ჩეხ ევა.ბირნეროვას ორ სეტში სძლია 6:2, 6:4. მეოთხედფინალში ჩვენებური ჯულია პიარინეს მძლეველ (6:1, 6:1) ირინა ხრომიჩევას (რუსეთი) შეხვდება და რევანშისთვის იბრძოლებს. საქმე ის არის, რომ წყვილებში ტატიშვილმა ვესნა ლოლიცთან (სერბეთი) ერთად სნორედ ხრომიჩევას და კაროლინა გარსიას (საფრანგეთი) დუეტთან წააგო - 3:6, 6:4, 10:12.

გერმანულ ვერსმოლდის 50.000-იანი ტურნირის პირველი წრე ვერ გადალახა **მაკა ჩახნაშვილმა** - არგენტინელ მარია ირიგოიენთან წააგო - 6:4, 3:6, 3:6.

სოფიო შაფათავა ფრანგულ დენაინში (საპრიზო ფონდი 25.000 $) გამოდის. ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში მან მანონ არკანგიოლი (საფრანგეთი) დაამარცხა. სოფიომ წყვილებშიც იყოჩაღა - რუს ანგელინა გაბუევასთან დუეტში მარინა კაჩარისა (სერბეთი) და გრაციელა რადოვანოვიჩის (საფრანგეთი) შემდეგ პირველ ნომრად განთესილ ქრისტინა-ანდრეა მიტუს (რუმინეთი) და პემრა ოზგენს (თურქეთი) აჯობა - 6:0, 6:3.

პოლონური ტურნირის (25.000 $) სტარტზევე დამარცხდნენ **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია,** რომლებიც, შესაბამისად, უკრაინელ ნადია კიჩენკოს (4:6, 3:6) და სლოვაკ ზუზანა ზლოჩოვას (3:6, 3:6) დანებდნენ. ქართველებმა წყვილთა პაექრობის პირველ წრეში ვასილისა ბულგაკოვა (უნგრეთი) და ქრისტინა შაკოვეცი (გერმანია) დაჯაბნეს, თუმცა მეორეში ილონა კრემენსა (ბელარუსი) და მაგდა ლინეტს (პოლონეთი) ვერ გასცდნენ.

ვაჟა დანელია

ქადრაკი

ევროპის თასს ქუთაისი უმასპინძლებს

საქართველოს და იმერეთის ჭადრაკის ფედერაციების ინიციატივითა და ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, რიონისპირა ქალაქში 7-12 ივლისს 8-12 წლის მოჭადრაკეთა შორის ევროპის თასი გათამაშდება. შეჯიბრებაში საქართველოს, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საბერძნეთის, ლატვიის, უკრაინის, ბელგიისა და ესტონეთის წარმომადგენლები ჩაებმებიან. გოგო-ბიჭები შვეიცარიული სისტემით 7 ტურად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ევროპის ჭადრაკის კავშირის პრეზიდენტმა **სილვიო დანაილოვმა** ასპარეზობის ორგანიზატორებისა და მოასპარეზეებისადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნა: *„საქართველო განთქმულია თავისი საჭადრაკო სკოლით. ქალაქი ქუთაისი, სადაც დაიბადა მსოფლიოს ლეგენდარული ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, გამოირჩევა მდიდარი საჭადრაკო ტრადიციებით. 2011 წელს ქალაქმა მაღალ დონე ზე უმასპინძლა ევროპის ჩემპიონატს რაპიდში ქალთა შორის. ვიმედოვნებ, რომ ევროპის თასის გათამაშების მონაწილე მოზარდებშიც იქნებიან მომავალი ჩემპიონები... მინდა ყველა მონაწილეს ვუსურვო სპორტული და შემოქმედებითი წარმატება".*

ვაჟა დანელია

მონკადა მოილიეს და ბარბერას მიაშურეს

ესპანურ მონკადაში დამთავრდა მოჭადრაკეთა მე-20 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ბოლო ტურში დიდოსტატი **გიორგი მარგველაშვილი** კუბელ იენიესკი პერეს ქქსადას დაუზავდა, ხოლო დიდოსტატმა **ლევან არაშიძემ,** ასევე, კუბელი არიან პერეს გონსალესი დაამარცხა. ორივე ჩვენებურმა 6-6 ქულას მოუყარა თავი და, შესაბამისად, მე-11 და მე-20 ადგილები დაიკავეს. საგულისხმოა, რომ ექვს-ექვსი ქულა 15-მა მოჭადრაკემ მოაგროვა. 7-7 ქულით პირველი-მეორე ადგილები რუსმა ვლადიმირ ბურმაკინმა და არგენტინელმა ფერნანდო პერალტამ გაინაწილეს. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეშვიდე ადგილებზე (უკეთესი კოეფიციენტის გათვალისწინებით) ქესადა, როლანდო ალარკონი (კუბა), ლაზარო ლორენცო (ესპანეთი), მატიე კორნეტი (საფრანგეთი) და სომაკ პალიტი (ინდოეთი) გავიდნენ.

მონკადას ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ესპანეთშივე ბარბერა დელ ვალესს მიაშურა, სადაც 85 მოჭადრაკე (მათ შორის - 20 დიდოსტატი) გუშინ 35-ე საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში ჩაება. პირველობისთვის იბრძოლებს ლევან არაშიძეც, რომელმაც პირველ ტურში ინდოელ კრიშნას სძლია. დღეს მე-2 ტურში კოლუმბიელ მიქელ მოსკუერას დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

ბლიცშიც ვერ იყოჩაღა

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გუშინ ბლიცში (3 წუთს + 2 წამი) მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ჩატარდა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 28 წარმომადგენელი მონაწილეობდა. თბილისელმა დიდოსტატმა **მერაბ გაგუნაშვილმა,** რაპიდის მსგავსად, ვერც ბლიცში იყოჩაღა. შვეიცარიული სისტემით გამართულ შეჯიბრებაში მან 22 შესაძლებლიდან 12,5 ქულა მოაგროვა და მხოლოდ მე-8 ადგილს გამორჩა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის სამი საგზური დმიტრი ანდრეიკინმა (რუსეთი, 16,5 ქულა), ლე ქუანგ ლიემმა (ვიეტნამი, 14,5) და ნიკოლაი ჩადაევმა (რუსეთი, 14,0) მოიპოვეს.

რაპიდსა და ბლიცში მედლებისთვის გადამწყვეტი ორთაბძოლები 7-10 ივლისს გაიმართება.

ვაჟა დანელია

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს რამაზ ფალიანს მამის გარდაცვალების გამო.

● სეოკში

მესამედ ოთხი მძლეოსნით

საქართველოს სპორტის ისტორიაში მძლეოსნებმა სასახელო ფურცლები ჩაწერეს. 1952 წლიდან განვლილ 60 წელიწადში მარტო ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი ქვეყნის „სპორტის დედოფლის" წარმომადგენლებს თერთმეტი მედალი აქვთ მოპოვებული. **ვიქტორ სანეევმა** სამხტომში 1968 (მეხიკო), 1972 (მიუნხენი) და 1976 (მონრეალი) წლებში ოქროს მედლები დაიმსახურა. **რობერტ შავლაყაძემ** სიმაღლეზე ხტომაში 1960 წელს რომის ოლიმპიადაზე ამერიკელთა ჰეგემონია დაამხო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ვერცხლის მედლებით დაიმშვენეს მკერდი ვიქტორ სანეევმა (სამხტომი, 1980 წ. მოსკოვი), **ლევან სანაძემ** (4X100 მ. რბენაში, 1952 წ. ჰელსინკი) და შუბის მტყორცნელმა **საიდა გუმბამ** (1980 წ. მოსკოვი), ხოლო **ნინო დუმბაძეს** (ბადრო, 1952 წ. ჰელსინკი), **ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილსა** (200 მ. 1952 წ. ჰელსინკი და სიგრძეზე ხტომა, 1956 წ. მელბურნი) და **მაია აზარაშვილს** (4X200 მ. 1988 წ. სეული) ბრინჯაოს მედლები ხვდავთ.

გია ნაცვლიშვილი (მარცხნივ) და ალექსი ახვლედიანი

მარცხნიდან: ბოლესლავ სხირტლაძე, მაციი როსიევიჩი, დავით ილარიანი და მაიკო გოგოლაძე

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 60 წლის წინათ ფინეთის დედაქალაქში ოთხი ქართველი მძლეოსანი (ლევან სანაძე, ნინო დუმბაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, ელენე გოკიელი) მონაწილეობდა და მათგან სამი სამშობლოში მედლით დაბრუნდა. რვა წლის შემდეგ იტალიის დედაქალაქში საქართველო „სპორტის დედოფლის" ისევ ოთხი წარმომადგენლით (რობერტ შავლაყაძე, **ალექსანდრე შჩერბინა, რევაზ ქვაჩაკიძე, იური დიაჩკოვი**) წარსდგა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რობერტ შავლაყაძემ სიმაღლეზე ხტომაში ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ალექსანდრე შჩერბინა მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა.

და აი, 52 წლის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოთხი მძლეოსანი იასპარეზებს. ესენი გახლავთ 110 მეტრზე თარჯმრბენი დავით ილარიანი, რომელმაც უკვე მოსინჯა ძალები ათენისა და პეკინის ოლიმპიადებზე, ასევე, სიგრძეზე მხტომელები - **მაიკო გოგოლაძე** და **ბოლესლავ სხირტლაძე;** 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში საქართველოს სპორტულ ღირსებას მაციი როსიევიჩი დაიცავს. ლონდონის საგზურის მფლობელ მძლეოსნებს გუშინ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს. ლიცენზიატებს მიესალმნენ და ოლიმპიადაზე წარმატებები უსურვეს სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის თავკაცმა **ალექსი ახვლედიანმა.**

შეხვედრის დასასრულს ოლიმპიადის საგზურების მფლობელმა მძლეოსნებმა „ლონდონი 2012"-ის სალიცენზიო დფაზე ხელმოწერები დააფიქსირეს.

გია ნაცვლიშვილი: საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას ლონდონის ოლიმპიადის 4 საგზურის მოპოვება მინდა მივულოცო. ეს მართლაც დიდი წარმატებაა. „სპორტის დედოფლის" ამდენი წარმომადგენელი ერთ თამაშებზე აგერ ნახევარი საუკუნეა, არ გვყოლია. ეს წარმატება დიდი გამარჯვებაა იმ თვალსაზრისითაც, რომ სპორტის ამ სახეობაში ხვალ-ზეგ უფრო მეტი მოზარდი ჩაებმება. ამასწინათ ჩვენთან სტუმრად იყო ლატვიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელმაც გვითხრა, რომ ბალტიისპირელებს ლონდონის ოლიმპიურ დელეგაციაში თითქმის ნახევარი მძლეოსნები ჰყავთ. საქართველოში თუ ასეთი ტემპით განვაგრძეთ წინსვლა, 2016 წელს რიოში ლიცენზიატთა 20 პროცენტი მაინც მძლეოსანი გვეყოლება.

ალექსი ახვლედიანი: თავიდან ლონდონის 2 საგზურს ვგეგმავდით, სამი კი იდეალური შედეგი იქნებოდა. ასე ვთქვათ, „გეგმა" გადაჭარბებით შევასრულეთ და დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ოთხი მძლეოსანი იასპარეზებს. სამწუხაროდ, კიდევ ორის შანსი გავუშვით ხელიდან. სიმაღლეზე მხტომელმა ზურაბ გოგოჭურმა წლეულს ორჯერ გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი, 226 სანტიმეტრი დაძლია, სალიცენზიო ნორმატივის შესასრულებლად კი 2 სანტიმეტრი არ ეყო. ასევე, მცირედი დააკლდა საგზურამდე ბადროს მტყორცნელ სალომე რიგიშვილს. თუმცა, დღემდე მიღწეული შედეგები იმის იმედს გვაძლევს, რომ ოთხი წლის შემდეგ რიოში ბევრად მეტი წარმომადგენელი გვეყოლება და სხვადასხვა სინჯის მედლებზეც გვექნება პრეტენზია.

ოლიმპიადამდე ჩვენი სპორტსმენები რამდენიმე დღე თბილისში ივარჯიშებენ, მერე რიგაში გაემგზავრებიან 12-დღიან საწვრთნელ შეკრებაზე, იქიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციასთან ერთად ლონდონს მიაშურებენ. იმედია, წარმატებით გაგვახარებენ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლონდონში საქართველოს სახელით გამოვა 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მაციი როსიევიჩი. 34 წლის მძლეოსანი წარმოშობით პოლონელია. თავისი ქვეყნის ჩემპიონატების შვიდგზის ვერცხლის მედალოსანია, სამჯერ ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული. თავის სახეობაში მსოფლიო რეიტინგით 32-ეა. 12 წელინადია, სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობს. კარგა ხანია, საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. როგორ მოხდა ეს? თავად როსიევიჩი გიამბობთ:

- პოლონეთის მძლეოსნობის ფედერაციასთან პრობლემები შემექმნა. დიდი სპორტისთვის თავი უნდა დამენებებინა ან ფედერაცია შემეცვალა. ბევრი არ მიფიქრია - საქართველო ავირჩიე და, აი, რატომ: იცით, რომ ოლიმპიური თამაშები მსოფლიოში მშვიდობას ემსახურება, 2008 წელს კი რუსებმა, ზუსტად პეკინის ოლიმპიადის გახსნის დღეს, საქართველო დაბომბეს. თქვენმა ქვეყანამ მაშინ მიიპყრო ჩემი ყურადღება. მერე ჩვენი საყვარელი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი ეწვია თბილისს და აქ მას დიდი სიმპათიებით შეხვდნენ. როცა იგი ავიაკატასტროფაში დაილუპა, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ვულკანის ამოფრქვევასთან დაკავშირებით ევროპაში შექმნილი საშიშროების მიუხედავად, დიდი რისკის ფასად ჩამოფრინდა ვარშავაში და ისე მიუსამძიმრა პოლონელ ხალხს ქვეყნის მეთაურის დაღუპვა. ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლებოდა, საქართველო არ შემყვარებოდა და „ქართველი" არ გავმხდარიყავი. ბედნიერი ვარ, რომ 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზია მოვიპოვე და ლონდონში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დავიცავ.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტოები

● ცურვა

ბოლოვანაძე ფინალშია

ბელგიურ ანტვერპენში გუშინ დაიწყო ახალგაზრდა მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობს: ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატი **ირაკლი ბოლქვაძე, თეიმურაზ კობახიძე** და **დავით სიხარულიძე.**

გუშინ ბოლქვაძემ 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მოსინჯა ძალები. შესაჩევ ეტაპზე 2.16,75-ით 35 მონაწილეს შორის მე-4 ადგილი დაიკავა და ნახევარფინალში გავიდა, იქ კი 0,02 წამით გააუმჯობესა საკვალიფიკაციაში ნაჩვენები შედეგი, რაც ფინალში მოსახვედრად საკმარისი აღმოჩნდა. მედლებისთვის პაექრობა დღეს თბილისის დროით დაახლოებით 21 საათზე დაიწყება. საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მოცურავეთა შორის ევროპის პირველობის ფინალისტი არ გვყოლია. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლქვაძე ლონდონის თამაშებში სწორედ ამ დისტანციაზე გამოვა. ოლიმპიური საგზური კი 2.16,35-ით მოიპოვა. დღევანდელ ფინალში თუნდაც ამ შედეგს გაიმეორებს, არ არის გამორიცხული, მედალსაც გამოკრას ხელი.

ბოლქვაძის გარდა, გუშინ 50 მეტრზე ბატერფლაით თეიმურაზ კობახიძე 51 მონაწილეს შორის 25,74 წამით 32-ე იყო. დავით სიხარულიძემ ამავე დისტანციაზე 26,36 წამით 45-ე ადგილი დაიკავა.

დღეს 200 მეტრზე ბატერფლაით კობახიძე იასპარეზებს, ხოლო სიხარულიძე თანატოლებს 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით გაეჯიბრება.

ვაჟა დანელია

● რაგბი. ალიარება

ვასილ კაკოვინი

კაკოვინი - საფრანგეთის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში

ყველაზე პოპულარულმა ფრანგულმა სარაგბო გამოცემამ, „მიდი ოლიმპიკმა" სეზონის სიმბოლური ნაკრები დაასახელა, რომელშიც ერთი ქართველია - 22 წლის პირველხაზელი **ვასილ კაკოვინი**. ეს უდიდესი აღიარებაა ახალგაზრდა მორაგბისთვის, რომელმაც ბოლო სეზონი გაატარა „ბრივში" და „ტულუზში" გადავიდა. „მიდი ოლიმპიკმა" მას პირველი ნომრის პოზიციაზე მიუჩინა ადგილი. აი, რას წერს გამოცემა:

„ჩვენი აზრით, „ტულუზის" სატრანფერო გადაწყვეტილებებიდან საუკეთესო არჩევანი ვასილ კაკოვინის დამატებაა. უპირველესად იმიტომ, რომ ქართველს შერკინების პირველ ხაზში მარჯვნივ და მარცხნივაც შეუძლია თამაში, ის ახალგაზრდაა, სულ 22 წლის, ეს ასაკი კი ჯერ მცირეა პირველხაზელისათვის. მიუხედავად ამისა, კაკოვინს ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს, 32 მატჩი ტოპ-14-ში და 16 კეპი საქართველოს ნაკრებში. თუკი, რამე კარგი მოხდა „ბრივში" გასულ სეზონში ეს მათი ფორვარდების დამსახურებაა. ჩვენს ნომინაციაში კაკოვინმა (16 ქულა) ოდნავ აჯობა ლიონელ ქსავიერ ფიარს (14 ქულა) და ჟან-ბაპტისტ პოს (14)".

შეგახსენებთ ვასილ კაკოვინი ყველაზე ახალგაზრდა პირველხაზელია, რომელმაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურა მოირგო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● შეკითხვა „ლელოს"

შეკითხვა: 2010-2011 წლების საფეხბურთო სეზონში პირველ ლიგაში თამაშობდა გუნდი, „ჩხერიმელა". ამბობენ, რომ გუნდი ამ სახელით ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოდიოდა დასავლეთის ზონის „ბ" ლიგაში". გთხოვთ მოგვითხროთ ამ გუნდის ისტორიის შესახებ.

დათო ხარატიშვილი
ხარაგაული, სოფ. ლაშე

პასუხი: საფეხბურთო კლუბი "ჩხერიმელა" დაარსდა 1983 წელს ძმებ **მურთაზ** და **სოსო აბაშიძეების** მიერ. გუნდი ასპარეზობდა მაშინდელ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, საქართველოს დასავლეთის ზონის ბ ლიგაში.

1987 წლიდან ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი **თემიკო დევდარიანი**) გუნდის შემადგენლობა გააძლიერა, მოიყვანა თბილისელი მოთამაშეები და შედეგად გუნდი ბ ლიგიდან ა ლიგაში გადავიდა.

საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ, 1990 წლის 30 მარტს ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი. შესაბამისად, "ჩხერიმელაც" შეუერთდა ახალ ეროვნულ ჩემპიონატს და გამოდიოდა საქართველოს მეორე ლიგის დასავლეთის ზონაში.

1996-97 წლებისთვის გუნდი დაიშალა და 12 წლის მანძილზე ხარაგაულში მხოლოდ ახალგაზრდული გუნდები არსებობდა.

2009 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის ინიციატივით მოხერხდა გუნდის აღდგენა და ჩემპიონატში ჩართვა. "ჩხერიმელა" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ლიგიდან ჩაერთო და დასავლეთ ზონაში გამოდიოდა, სადაც პირველსავე წელს მეოთხე ადგილი დაიკავა და საქართველოს ჩემპიონატის პირველი საგზური მოიპოვა.

2010-11 წლებში „ჩხერიმელამ" საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ითამაშა და სეზონი 35 ქულით მე-11 ადგილზე დაასრულა ბურთების შეფარდებით 35-45, 7 მოგება, 14 ფრე და 11 წაგება.

„ჩხერიმელა" 1985 წ. მარცხნიდან: I რიგში - პაატა გოგოლაძე, გია ჩიტაძე, ზურა შარიქაძე, სერგო კიკნაძე, გივი გოგოლაძე, ბესიკ ბუაჩიძე; დგანან - თემურ ფცქიალაძე, დათო სილაგაძე, გია ზუმბულიძე, სოსო აბაშიძე, მურთაზ აბაშიძე, დათო გაჩეჩილაძე, გია მეიფარიანი, მერაბ კიკნაძე, თენგო ბუაჩიძე.

შეკრებაზე ქალაქ ლესელიძეში (აფხაზეთი) 1987წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

ვინ არის ფაჩულია?

საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ზაზა ფაჩულია** „ატლანტა ჰოქსს“ პლეი ოფში ვერ დაეხმარა, ფეხი აწუხებდა. მაისის შემდგ იგი მკურნალობდა და როგორც სანაკრებო პრესკონფერენციაზე გვითხრეს, იგი ეროვნულ გუნდს მოგვიანებით შეუერთდება. რამდენად მალე, მის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

ზაზას მდგომარეობა ამერიკელებსაც ძალიან აინტერესებთ. გამოცემა „ჰუპსვორლდის“ კორესპონდენტმა „ატლანტას“ სამომავლო გეგმებზე წერისას ხაზი გაუსვა, რომ ფაჩულიას გუნდთან მოქმედი კონტრაქტი აქვს და მომავალ სეზონში ჯორჯიელებს მისი იმედი უნდა ჰქონდეთ. კორესპონდენტმა ასევე გაიხსენა, რომ ზაზამ ფეხის ტრავმის გამო „ბოსტონთან“ საპლეიოფო დაპირისპირებები გამოტოვა და კალათბურთელს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაეკითხა.

- თავს უკეთ ვგრძნობ. ფეხი აღარ მაწუხებს. რადგან სეზონთშორისი პერიოდია, დატვირთვებს ვერიდები, არ ვჩქარობ და ექიმებთან გავდივარ კონსულტაციებს. ამჟამად ტრენაჟორებთან და ველოსიპედზე ვმუშაობ. იმედი მაქვს, რამდენიმე კვირაში მოედანზე გავალ, - ამბობს ზაზა ფაჩულია, რომელსაც „ატლანტა ჰოქსთან“ ოთხწლიანი ხელშეკრულება 2013 წლის ზაფხულში ეწურება.

კალათბურთელი, ბიზნესმენი, მეოჯახე

გაზეთ Neighbor Newspaper-ში ზაზა ფაჩულიას შესახებ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა. ჟურნალისტი **დავიდ რუისი** პუბლიკაციას შეკითხვით იწყებს: ვინ არის ზაზა ფაჩულია? თავადვე პასუხობს:

„ატლანტა ჰოქსის“ ცენტრია. თუმცა მხოლოდ ცენტრი როდია - ქალაქ ატლანტას ერთ-ერთი გამორჩეული მკვიდრია.

ქართველი კალათბურთელი, ზაზა ფაჩულია „ატალანტას“ 2005 წელს შეუერთდა და მას მერე ეს ქალაქი მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა. 28 წლის ზაზა კალათბურთელიცაა, ბიზნესმენიც და მეოჯახეც.

მან სახელი საქვეყნოდ 2008 წელს გაითქვა, როცა NBA-ს პლეი ოფში სუპერვარსკვლავ **კევინ გარნეტს** გაწევ-გამოწევაში არაფერი დაუთმო. მას მერე ქართველმა მტკიცე დამცველისა და კარგი მომხსნელის რეპუტაცია შეიძინა.

2011-12 წლების სეზონში „ატლანტას“ სასტარტო ცენტრმა **ელ ჰორფორდმა** მხრის ტრავმა მიიღო, რის შემდეგ მისი ადგილი ზაზა ფაჩულიამ დაიკავა და საშუალოდ 7.8 ქულასა და 7.9 მოხსნას აგროვებდა. „ატლანტამ“ რეგულარულ ეტაპზე 66-დან 40 მატჩი მოიგო და პლეი ოფში ზედიზედ მეხუთედ ითამაშა.

- მწვრთნელები და თანაგუნდელები ჩემგან მოედანზე ენერგიის შეტანას, ფარქვეშ მტკიცედ დგომას ელიან. დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება ისეთი ცენტრების მეურვეობისას, როგორიცაა ***დუაით ჰოვარდი****. ვცდილობ, გუნდს ბოლომდე გამოვადგე,* - ამბობს ზაზა ფაჩულია.

კემპი

იგი საკალათბურთო კარიერის პარალელურად მომავალზეც ფიქრობს. ქართველმა ცენტრმა ერთი კვირა დაუთმო „ატლანტა ჰოქსის“ მიერ ორგანიზებულ ბავშვთა საზაფხულო კემპს, ხოლო მომდევნო კვირას ჩრდილოეთში გაფრინდა და ჰარვარდის უნივერსიტეტში ბიზნესსემინარს დაესწრო.

- ჩვენი კემპისთვის სწორედ ფაჩულიასნაირი კალათბურთელი გვჭირდებოდა. მას საკმარისი გამოცდილება აქვს და ახალგაზრდებთან ურთიერთობაც შეუძლია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოედნის გარეთ სისულელეებს არ სჩადის, - კმაყოფილია საზაფხულო კემპის ორგანიზატორი **კიმ კოულმენი**.

- მახსოვს, NBA-ს ერთ-ერთი კემპისას ***ვლადიმერ სტეფანიამ*** *რჩევა მომცა, რომელიც დღესაც ნათლად მახსოვს. იმედი მაქვს, ჩემი სიტყვები პატარა კალათბურთელებს მომავლისთვის გამოადგებათ. ყოველთვის ვცდილობ ახალგაზრდებს საკუთარი გამოცდილება გავუზიარო. საქმე ხომ ჩვენს მომავალს ეხება,* - ეს ფაჩულიას სიტყვებია.

ბიზნესი

ზაზა სემინარებს ბიზნესის თემაზე აქამდეც დასწრებია, თუმცა ამას მხოლოდ სამომავლოდ როდი აკეთებს - სადღეისოდ ატლანტაში მართავს საკუთარ რესტორანს სახელწოდებით Buckhead Bottle Bar.

- ვფიქრობ, გამოცდილებითა და სპეციალური განათლებით დადებითი შედეგის მიღება შეიძლება, - აცხადებს კალათბურთელი, *- თუნდაც ისე, როგორც კემპისას: მართალია, ღონისძიებას მწვრთნელის სტატუსით ვესწრებოდი, მაგრამ ახალგაზრდებთან და სხვა მწვრთნელებთან ურთიერთობაში მეც ბევრი ვისწავლე. ასევე ღირებულია პროფესორ-მეცნიერებისგან მიღებული ცოდნა.*

ტრავმა

სამწუხაროდ, ვერანაირი ცოდნა და გათვლა ვერ აღუდგება წინ ტრავმებს, რომლის გამო ზაზა ფაჩულიამ „ბოსტონ სელტიქსთან“ მნიშვნელოვანი სერია ვერ ითამაშა. ეს მტკივნეული საკითხია 210 სმ სიმაღლის ცენტრისთვის:

- სამწუხაროა, რომ ტრავმა მაინცდამაინც სეზონის ბოლოს მივიღე. ყველა სპორტსმენი მაქსიმალურად ემზადება იმ მომენტისთვის, როცა გუნდს ყველაზე მეტად სჭირდება. დასანანია, რომ ტრავმის გამო სწორედ პლეი ოფის გამოტოვებამ მომინია. თუმცა, ვერაფერს შევცვლით, ეს ცხოვრების, თამაშის ნაწილია.

ივლისი

კალათბურთელი იმედოვნებს, რომ მალე შეუდგება ვარჯიშს. ზაზა ფაჩულიას სიხარულისთვის სხვა მიზეზიც აქვს: მისი მეუღლე თინა ივლისში მესამე ბავშვს ელოდება, პირველ გოგონას. ზაზას უფროსი ვაჟი დავითი სამი წლისაა, ხოლო მეორე, საბა - 2 წლისა.

82+

გასული სეზონი ზაზა ფაჩულიასთვის ორმაგად შეკვეცილი იყო: ჯერ ლოკაუტმა (გაფიცვამ) ჩამოაჭრა ათეულობით თამაში, შემდეგ ტრავმის გამო ქართველი კალათბურთელი გუნდს ბოლო შეხვედრებში ველარ დაეხმარა. იგი იმედოვნებს, რომ „ატლანტაში“ კონტრაქტის მიხედვით დარჩენილ ბოლო სეზონში 82+ თამაშს ჩაატარებს. რეგულარულ ეტაპზე სწორედ 82 შეხვედრაა, ამას პლეი ოფი უნდა მოჰყვეს...

- ატლანტა ჩემი სახლია. შვიდი წელია აქ ვცხოვრობ. დიდ პეტივს ვცემ ყველა ატლანტელს, გუნდის ქომაგს და ძალიან მინდა „ჰოქსში“ დარჩენა. თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ კალათბურთი ბიზნესია, 2013 წლის ზაფხულში გუნდთან კონტრაქტი მიმთავრდება და შეიძლება სხვაგან მომიწიოს გადაბარგებამ. ეს რთული იქნება. მაგრამ მთავარია, რომ ჯერ აქ ვარ და „ატლანტას“ მაისურით კიდევ ერთ სეზონს ჩავატარებ. იმედი მაქვს, საინტერესო სეზონი გამოვა და გუნდი წარმატებით იასპარეზებს, რაშიც ჩემი წვლილიც იქნება.“

ვაჟა სიმონიშვილი



● ჩაშლილი ტრანსფერი

კოკოშკოვი და პანათინაიკოსი

საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე წარმატებულმა გამოსვლამ მთავარ მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვსაც** მოუტანა აღიარება. მისი კანდიდატურა არც მეტი, არც ნაკლები - ჭორძნული „პანათინაიკოსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე განიხილებოდა. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გამოცემა Sportska Sentral-მა. აი, კიდევ რა წერია ამ საიტზე:

*„13-წლიანი მუშაობის შემდეგ საბერძნეთის გრანდი, „პანათინაიკოსი" **ჟელკო ობრადოვიჩმა** დატოვა. მის შემცვლელად არაერთი კანდიდატურა განიხილებოდა, რომელთა შორისაც ობრადოვიჩის თანამემამულე სერბი იგორ კოკოშკოვი იყო. იგი **იურე ჟდოვცთან** ერთად მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა."*

...თუმცა „პანათინაიკოსის" ხელმძღვანელობამ არჩევანი ბერძენზე შეაჩერა - მომავალი სეზონიდან „მწვანეებს" **არგირის პედულაკისი** გაუძღვება.

ვაჟა სიმონიშვილი

● საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

ესტონეთისკენ

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინ ესტონეთში გაფრინდა, სადაც ორ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. ესტონეთის 20-წლამდელთა ნაკრებთან ქართველი კალათბურთელები დედაქალაქ ტალინში 5 და 6 ივლისს ითამაშებენ. ბალტიისპირეთიდან დაბრუნების შემდეგ **დავით უსტიაშვილის** გაწვრთნილი გუნდი მზადებას თბილისში განაგრძობს და 10 ივლისს სლოვენიაში გაემგზავრება. 2012 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი სწორედ სლოვენიაში გაიმართება. საქართველოს ნაკრებთან ერთად ჯგუფში მოხვდნენ ლატვია, თურქეთი და ესპანეთი. ევროპის პირველობა 12 ივლისს დაიწყება, ხოლო ფინალი 22-ში გაიმართება.

საქართველო. U 20

უკანასკნელები

ოთარ ფხაკაძე, დუდა სანაძე, რეზო როგავა, მერაბ ბოქოლიშვილი, გიორგი ტეტელაშვილი

ფორვარდები

ბექა ბურჯანაძე, ლევან ელიაძე, ნოდარ თენიეშვილი, ზურა მაჩალაძე

ცენტრები

ავთანდილ ლომინაშვილი, ირაკლი ალხანაიძე, გოგა ჯავახიშვილი

მთავარი მწვრთნელი: დავით უსტიაშვილი

მწვრთნელი: არჩილ ყღენტი

ვაჟა სიმონიშვილი

● საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

მარცხი უნგრეთთან

ამხანაგური მატჩი

სლოვაკეთი

უნგრეთი-საქართველო	**68:37**

12:11, 18:10, 21:11, 17:5

საქართველო: ზაქრაძე (9ქ), გოგალაძე (8ქ), ისიანი (6ქ), ბობილევი (6ქ), მაჭავარიანი (2ქ), მასხულია (2ქ), გუგეშაშვილი (2ქ), პეტრიაშვილი (2ქ).

სლოვაკეთში მყოფმა საქართველოს კადეტთა ნაკრებმა მესამე მატჩი ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე უნგრეთის 16-წლამდელთა ნაკრები იყო, რომელმაც მანამდე სლოვაკებს აჯობა. უნგრელებმა ქართველებთანაც დამაჯერებლად იასპარეზეს და დიდი სხვაობით, 68:37 იმარჯვეს.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა მადიარებს პირველ ტაიმში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მეორე ტაიმში ვერაფერი გააწყო - ბოლო ოც წუთში უნგრეთმა 38:16 მოიგო.

ჩვენი კადეტთა ნაკრები სლოვაკეთიდან სამშობლოში დაბრუნდება და მზადებას თბილისში განაგრძობს. შეგახსენებთ, რომ ქართველ 16-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელით, რომელიც რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში 19 ივლისს დაიწყება. ამ დღეს საქართველო მასპინძელ რუმინეთს დაუპირისპირდება.



ვაჟა სიმონიშვილი

● ქართული სპორტის მგზავრები

"ლელოს" ახალი რუბრიკის პრემიერა 20 ივნისს შედგა და ქართული სპორტის ამაგდართა წარდგინება კალათბურთში მოღვაწე ადამიანებით დავიწყეთ. დღეს ამ სამყაროდან კიდევ ორ დამსახურებულ სპეციალისტს გაგაცნობთ.

შალვა დიასამიძე

შალვა დიასამიძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული კალათბურთის საფუძვლების განმტკიცებასა და განვითარებაში. დაიბადა 1912 წლის 10 ივლისს. რამდენიმე დღეში აღინიშნება მისი დაბადებიდან 100 წლის იუბილე. გარდაიცვალა 1974 წლის 7 მაისს.

თამაშობდა თბილისის უნივერსიტეტის გუნდში (1929-32), "მედსანტრუდსა" (1933-35) და "ნაუკაში" (1936-40). იყო თბილისის "დყნამოს" მთავარი მწვრთნელი (1947-49). მისი ხელმძღვანელობით "დინამომ" მოიგო სსრკ თასი (1949), სსრკ ჩემპიონატებში გავიდა მეორე (1947) და მესამე (1948) საპრიზო ადგილებზე. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. რამდენიმე წელიწადი სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას.

მიხეილ კეკელიძე

ქართულ კალათბურთში ამ დიდებულმა ადამიანმა წარუშლელი კვალი დატოვა როგორც მაღალი დონის სპეციალისტმა და უნიკალურმა პიროვნებამ. თავად სახელოვანმა სპორტსმენმა აღზარდა ნიჭიერ კალათბურთელთა თაობები.

დაიბადა 1921 წლის 11 თებერვალს, თბილისში. გარდაიცვალა 1973 წლის 22 ნოემბერს. თამაშობდა თბილისის გუნდებში "ნაუკასა"(1939-41) და "დინამოში" (1942-50). სსრკ ჩემპიონატების მეორე (1947) და მესამე პრიზიორი (1948), სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1949, 50). იყო საქართველოს იუნიორთა ნაკრებისა (1947-65) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) გუნდის მთავარი მწვრთნელი (1950-71). მისი ხელმძღვანელობით იუნიორთა ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა (1957), სპი-ს გუნდმა კი სტუდენტთა არაერთი საკავშირო ტურნირი მოიგო. საქართველოში კალათბურთელ ბავშვთა ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი. მისი სახელი მინიჭებული აქვს თბილისის განათლების ბავშვთა სპეციალიზებულ საკალათბურთო სკოლასა და ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის სასახლეს. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

სურათი გადაღებულია 1956 წ. დნეპროპეტროვსკში სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატზე. მწვრთნელი მიხეილ კეკელიძე თავის ბურევესტნიკელ შეგირდებთან ერთად

კალათბურთის ფედერაციის განცხადება

EUROBASKET 2013: შესარჩევი ტურნირის აკრედიტაციების მისაღებად განაცხადების მიღება დაიწყო

დაიწყო აკრედიტაციების გაცემა ევროპის 2013 წლის შესარჩევი ტურნირისთვის. აკრედიტაცის მისაღებად საჭიროა:

1. განაცხადი საინფორმაციო საშუალების სატიტულე ფურცელზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის სახელზე;

2. საპასპორტე ზომის ფოტოსურათი;

განაცხადები და ფოტოსურათები გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან წარმოადგინეთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ა

განაცხადების მიიღება შეწყდება 14 ივლისს.

-ს **ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ჰოკეი



იაროსლავ იაგრი

იაროსლავ იაგრი ვარსკვლავი გახდა

ლეგენდარულმა ჩეხმა ჰოკეისტმა **იაროსლავ იაგრმა** "დალას სტარტზთან" გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი. ხელშეკრულების თანახმად, 40 წლის ფორვარდი, რომელიც პირველი ივლისიდან შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდა, 4.55 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

2011-12 წლების სეზონი იაგრმა "ფილადელფიაში" გაატარა, რომელშიც რუსული "ავანგარდიდან" გადავიდა. რეგულარული ჩემპიონატის 73 მატჩში მან 54 ქულა (19+35) დააგროვა, პლეი ოფის 11 მატჩში კი ჩეხმა 8 ქულით (1+7) გამოიჩინა თავი.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იაგრი ამბობდა, რომ მომავალ წელსაც "ფილადელფიაში" დარჩენა სურდა. ფორვარდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ლაპარაკობდა "ფლაერზის" გენერალური მენეჯერი **პოლ ჰოლმგრენიც**.

იაგრს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში "პიტსბურგის", "ვაშინგტონის", "რეინჯერსისა" და "ფილადელფიას" რიგებში უთამაშია. სულ მის ანგარიშზე 1526 მატჩში 1842 ქულა (743+1099) მოდის. იაროსლავ ორჯერ იყო სტენლის თასის მფლობელი "პიტსბურგის" შემადგენლობაში.

...

სხვა ახალი ამბებიდან უნდა აღვნიშნოთ "რეინჯერსის" ორწლიანი კონტრაქტი ფორვარდ **ტაილერ პიატთან**. 31 წლის ჰოკეისტი, რომელიც შარშან "ფინიქსში" თამაშობდა, 3.1 მილიონ დოლარს მიიღებს. პიატმა გასულ რეგულარულში 73 მატჩში 19 ქულა (9+10) დააგროვა.

"ნიუ ჯერსი დევილზის" მცველმა **ბრაის სალვადორმა** კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. ახალი ხელშეკრულება სამწლიანია და ამ დროის განმავლობაში 36 წლის მცველი 9.5 მილიონ დოლარს მიიღებს. გასულ სეზონში სალვადორმა რეგულარული ჩემპიონატის ყველა, 82 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ცხრა შედეგიანი პასი შეასრულა.

"კოლორადომ" კი ოთხი წლით გაუხანგრძლივა ხელშეკრულება თავის მცველს, **ერიკ ჯონსონს**. თანხა, რომელზეც კლუბმა და ჰოკეისტმა მოილაპარაკეს – 15 მილიონი დოლარია. 24 წლის ჯონსონმა შარშან 73 მატჩში 26 ქულა (4+22) მიითვალა.

თავის მხრივ, "ვაშინგტონმა" მცველ **ჯეკ ჰილენთან** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ღირებულება 650 ათასი დოლარია. 26 წლის ჰოკეისტის წინა კლუბი იყო "ნეშვილი", სადაც მან 55 მატჩში 6 ქულა (2+4) დააგროვა.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

ის უკვე ვარსკვლავია

ბელგიის ტერიტორიაზე გამართული პროლოგისა და ორი ეტაპის შემდეგ, ტურ დე ფრანსი შინ დაბრუნდა – ბულონის პროვინციაში გაიმართა მესამე ეტაპი. ველომრბოლებს გადასალახი ჰქონდათ მეოთხე და მესამე კატეგორიის სირთულის ამაღლებები, ძირითადად, დისტანციის ბოლო 50 კილომეტრზე. ფინიშიც მეოთხე კატეგორიის სირთულის მთაზე იყო დაგეგმილი და ისევ ელოდნენ **ფილიპ ჟილბერისა** და **პეტერ საგანის** აქტიურობას.

მცირე წვიმამ, რთულმა პირობებმა და ვიწრო გზებმა დაცემათა მთელი სერია გამოიწვია და უკვე რამდენიმე ველომრბოლი მიღებული ტრავმების გამო ჩამოშორდა წლევანდელ ტურს. მაგალითად, გამოეთიშა ბრძოლას ბელარუსი **კონსტანტინ სივცოვი**, რომელიც ტურის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის - **ბრედლი უიგინსის** დამხმარე უნდა ყოფილიყო სამთო ეტაპებზე. ასევე არ გაუმართლა ესპანელ უნივერსალს, **ხოსე ხოაკინ როხასს**. გენერალურ კლასიფიკაციაში მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა შარშანდელმა სენსაციამ **ტომას ფიოკლერმა,** რადგან დაცემის გამო მან დაახლოებით შვიდი წუთი დაკარგა.

ეტაპზე გამარჯვებისთვის ბრძოლისას კონკურენცია ვერავინ გაუწია სლოვაკ პეტერ საგანს, რომელმაც ძალიან დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვა და ამ ტურზე უკვე მეორე რბოლა მოიგო.

მეტოქეებმა სცადეს რაღაცის გაკეთება: მაგალითად, **სილვენ შავანელმა** ფინიშამდე ხუთი კილომეტრით ადრე შეუტია, მაგრამ 22 წლის სლოვაკს, რეალურად კონკურენტი არ ჰყოლია. მეორეზე გავიდა ნორვეგიელი **ედვალდ ბოასონ ჰაგენი,** პოდიუმის მესამე საფეხური საგანის თანამემამულეს **პეტერ ველიტსს** ერგო.

ყვითელი მაისურა ისევ **ფაბიან კანჩელარას** ეკუთვნის, რომელიც ლიდერობას მეოთხე ეტაპის შემდეგაც შეინარჩუნებს, რადგან მომდევნო რბოლა სპრინტერული გარჩევებისთვის არის განკუთვნილი.

III ეტაპი

1. **პეტერ საგანი** (სლოვაკეთი - Liquigas); 2. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორვეგია - Team Sky) - +0,01; 3. **პეტერ ველიტსი** (სლოვაკეთი - Omega Pharma-Quick Step); 4. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიცარია, RadioShack-Nissan); 5. **მიხაელ ალბაზინი** (შვეიცარია - Orica-GreenEdge); 6. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team); 7. **ნიკოლას როში** (ირლანდია - Ag2r La Mondiale); 8. **სამუელ სანჩესი** (ესპანეთი - Euskaltel-Euskadi); 9. **ბეკ მოლემა** (ჰოლანდია - Rabobank); 10. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas)...

საერთო ჩათვლა

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიცარია, RadioShack-Nissan); 2. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0,07; 3. **სილვენ შავანელი** (საფრანგეთი - Omega Pharma-Quick Step) - +0,07; 4. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +0,10; 5. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორვეგია - Team Sky) - +0,11; 6. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +0,13; 7. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +0,17; 8. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +0,18; 9. **რეიდერ ჰესიედალი** (კანადა - Garmin-Sharp) - +0,18; 10. **ანდრეას კლიოდენი** (გერმანია - RadioShak-Nissan) - +0.19...

კალათბურთი. ახალი ამბები

ერთიანი ეროვნული ტესტები

ჯო, დერონი... სუპერმენის?

ბრუკლინი გრანდად ყალიბდება

როგორც იქნა, გაირკვა თავისუფალი აგენტების ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟის სამომავლო კარიერა. **დერონ უილიამსი** თავის ამუამინდელ კლუბში "ბრუკლინ ნეტსში" დარჩება.

27 წლის ვარსკვლავურმა გამთამაშებელმა "ნეტსთან" ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამ დროის განმავლობაში 98 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. უილიამსმა უარი თქვა "დალას მავერიქსში" გადასვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს კლუბი მის მშობლიურ შტატ ტექსასს წარმოადგენს. არადა, "მავერიქსი" დერონს მაქსიმალურ კონტრაქტს სთავაზობდა – ოთხი წელი და 75 მილიონი დოლარი.

2011-12 წლის სეზონი დერონ უილიამსმა "ბრუკლინში" (შარშან ამ გუნდს "ნიუ ჯერსი ნეტსი" ერქვა) გაატარა და 55 მატჩში საშუალოდ 21 ქულა, 8.7 პასი და 3.3 მოხსნა დააგროვა.

...

გარდა ამისა, გუშინ გაირკვა, რომ "ბრუკლინმა" შეთანხმებას მიაღწია ესპანეთის "კახა ლაბორალის" ბოსნიელ ფორვარდთან **მირზა ტელეტოვიჩთან**. 26 წლის კალათბურთელი "ნეტსთან" სამწლიან და 16-მილიონიან კონტრაქტს გააფორმებს.

ტელეტოვიჩის სტატისტიკა ევროლიგის მატჩებში 21.7 ქულასა და 6.0 მოხსნას უდრიდა. ადრე ის მოელაპარაკა "კახა ლაბორალს" კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტაზე. ეს მას 2 მილიონი დოლარი დაუჯდა.

...

ამერიკული პრესა იმასაც წერს, რომ "ბრუკლინი" და "ორლანდო" **დუაიტ ჰოვარდის** "ნეტსში" ტრეიდის ვარიანტებს განიხილავენ.

"ბრუკლინი" ლიგის საუკეთესო ცენტრის სანაცვლოდ "ორლანდოს" სთავაზობს სამ მოთამაშეს: ცენტრს **ბრუკ ლოპესს,** ფორვარდს **კრის ჰემფრიზსა** და მცველ **მარშონ ბრუქსს**, აგრეთვე 2013, 2015 და 2017 წლების დრაფტებზე პირველ რაუნდებში არჩევის უფლებას.

"ბრუკლინის" გარდა, "ორლანდოსთან" მოლაპარაკებებს აწარმოებენ "ლეიკერსი", "ატლანტა" და "ჰიუსტონი".

თუ "ბრუკლინმა" შეძლო ჰოვარდის გადაბირება, "ნეტსი" ახალი სეზონისთვის სერიოზულ ძალად ჩამოყალიბდება. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, ამ გუნდმა "ატლანტადან" გადაიბირა **ჯო ჯონსონი,** გაიფორმა დერონ უილიამსი და თუ ამ დუეტს დუაიტ ჰოვარდიც დაემატა, ეს მართლაც ახალი "დიდი ტრიო" იქნება.

დერონ უილიამსი



რეი ალენი

"ბოსტონ სელტიქსის" მცველი **რეი ალენი** ასევე თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. ვეტერანი კალათბურთელი უახლოეს დღეებში "მაიამისა" და "კლიპერსის" ოფისებში ვიზიტს აპირებს.

რეი ჰიგსა და კლიპერსს შორის ირჩევს

NBA-ის ჩემპიონისთვის ალენი მთავარი მიზანია სატრანსფერო ბაზარზე. რამდენიმე დღის წინ, "მაიამის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** თავის "ტვიტერზე" წერდა, იმედი აქვს რომ მომავალ სეზონში რეისთან ერთად ერთ გუნდში ითამაშებს.

ამასთან, "ჰიტის" ხელმძღვანელობა მზად არის სამქულიანების რაოდენობით ლიგის რეკორდსმენს 3 მილიონი დოლარი გადაუხადოს - ზუსტად ნახევარი იმ თანხისა, რომელსაც მას "სელტიქსი" სთავაზობს.

"ჰიტის" ხელმძღვანელობა შეშფოთებულია გუნდში სამქულიანების რეალიზაციის დაბალი პროცენტით და ამიტომაც სურს რეის შეძენა. ალენი ბოლო 16 სეზონიდან 15-ში მინიმუმ 100 სამქულიანს აგდებდა. სულ მის ანგარიშზე კარიერაში 2718 შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში.

ბერი ბოსტონში გადაწყდა

პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ "დალას მავერიქსის" სნაიპერი **ჯეისონ ტერი** "ბოსტონში" გააგრძელებს კარიერას. შეგახსენებთ, რომ ეს კალათბურთელი შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

საკალათბურთო ოპერაციებში "დალასის" პრეზიდენტმა **დონი ნელსონმა** განაცხადა, რომ მისი კლუბი არ აპირებს საკონტრაქტო წინადადების გამეორებას, რომელსაც "სელტიქსი" ჯეისონ ტერის შესთავაზებს. როგორც ვარაუდობენ, "ბოსტონი" ტერის სამი წლით გაფორმებას აპირებს და ჯამური ხელფასის სახით 15 მილიონ დოლარს გადაუხდის.

"ის, რაც ტერომ ჩვენი გუნდისთვის და ქალაქისთვის გააკეთა, არასოდეს იქნება დავიწყებული. მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებთ. სამწუხაროდ, სახელფასო ბიუჯეტი არ იძლეოდა მისი შენარჩუნების საშუალებას", - განაცხადა ნელსონმა.

რეგულარული ჩემპიონატის 63 მატჩში ტერის მონაგარი საშუალოდ 15.1 ქულასა და 3.6 შედეგიან პასს უდრიდა.

...

"ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ყოფილმა მცველმა **ერიკ გორდონმა** "ფინიქს სანზთან" მაქსიმალურ კონტრაქტს გამოჰკრა ხელი. მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში 23 წლის კალათბურთელი 58 მილიონ დოლარს მიიღებს.

2011-12 წლების სეზონში გორდონი საშუალოდ 20.6 ქულასა და 3.4 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. შეგახსენებთ, რომ "ჰორნეტსი" ერიკს ხუთი წლით 80-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობდა.



ჯეისონ ტერი

რუდიმ რეალი აირჩია

პანათინაიკოსის მოულოდნელი ტრანსფერი

რუდი ფერნანდესი

ორი საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა ევროპაში.

როგორც ესპანური გაზეთი "მარკა" წერს, უახლოეს პერიოდში მადრიდის "რეალი" ოფიციალურად გამოაცხადებს მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებას ესპანეთის ნაკრების 27 წლის მცველ **რუდი ფერნანდესთან**, რომელიც თავისუფალი აგენტი გახლავთ.

ეს კალათბურთელი შარშან, ლოკაუტის დროს თამაშობდა "რეალის" შემადგენლობაში და შემდეგ "დენვერში" დაბრუნდა, რომლის რიგებშიც რეგულარულ ჩემპიონატში 31 მატჩი ჩაატარა, პლეი ოფში კი ზურგის ტრავმის გამო არ უთამაშია.

...

ბერძნული გრანდის – "პანათინაიკოსის" ახალბედა გახდა "ბერძენი შაკილ ო'ნილი" – **სოფოკლის შორცანიდისი**. "პაოს" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, მოთამაშესთან სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

ეს მოულოდნელი ტრანსფერია, რადგან აქამდე შორცანიდისი "პანათინაიკოსის" მთავარი მტრის – "ოლიმპიაკოსის" რიგებში თამაშობდა.

საბერძნეთის ნაკრების ცენტრმა ბოლო ორი სეზონი თელ-ავივის "მაკაბიში" გაატარა, სადაც ძირითადი ხუთეულის წევრი იყო. ევროლიგის მატჩებში მისი მონაგარი 8.7 ქულასა და 3.0 მოხსნას უდრიდა, ისრაელის ჩემპიონატში – 9.1 ქულასა და 4.3 მოხსნას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ოლიმპიზმი

ნოა ლონდონში არ მიდის



ჯოაკიმ ნოა

ტრაკმა, რომელიც საფრანგეთის ნაკრების ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ** NBA-ის პლეი ოფში მიიღო, კალათბურთელს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალებას არ მისცემს. ამის შესახებ "ჩიკაგოს" ერთ-ერთმა ლიდერმა ფრანგული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოაცხადა.

"მე მზად არ ვარ. არ შემიძლია სირბილი, ნახტომის შესრულება... ახლა ჩემი ფეხის რთული პერიოდი დადგა. ყველანი ველოდით, რომ ლონდონში თამაშს შევძლებდი: ჩემი მშობლები, მეგობრები, თაყვანმცემლები... მაგრამ ეს არ მოხდება", - ამბობს ნოა.

შეგახსენებთ, რომ ფრანგმა დაზიანება "ფილადელფიასთან" პირველი რაუნდის სერიის ერთ-ერთ მატჩში მიიღო.

ახლა, საფრანგეთის ნაკრების შანსი ლონდონში პრაქტიკულად ნულის ტოლია, რადგან ნოას გარდა, სავარაუდოდ, ოლიმპიადაზე გამგზავრებას ვერ შეძლებს გუნდის ლიდერი **ტონი პარკერი**, რომელსაც თვალი აქვს დაზიანებული.

■ ■ ■

ვენესუელაში, ლონდონის თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირზე მეორე ტური გაიმართა.

A ჯგუფი

იორდანია-აუერტო რიკო 52:93

11:29, 11:25, 10:18, 20:21

ი: დაგლსი (17+7 მოხსნა).

პ-რ: რამოსი (20+9 მოხსნა), სანჩეს როსა (12), პივი (11), სანტიაგო (10+7 მოხსნა), ფრანკლინი (10), აროიო (9+5 პასი), ბარეა (8+4 პასი).

სატურნირო მდგომარეობა: პუერტო რიკო – 1 მოგება/0 წაგება, საბერძნეთი - 1/0, იორდანია - 0/2.

B ჯგუფი

ვენესუელა-ლიტვა 82:100

21:23, 15:26, 28:31, 18:20

ვ: ვასკესი (24+7 მოხსნა), კოქსი (14), ტორესი (14), ეჩენიკე (12+6 მოხსნა).

ლ: კლეიზა (28+5 მოხსნა), კალნიეტისი (13+8 პასი), პოჩიუსი (12+5 ჩაჭრა), მაჩიულისი (11+8 მოხსნა+5 პასი), იასიკიავიჩუსი (11+7 პასი).

სატურნირო მდგომარეობა: ვენესუელა – 1 მოგება/1 წაგება, ლიტვა - 1/0, ნიგერია - 0/1.

C ჯგუფი

ს. კორეა-დომინიკის რ 85:95

19:17, 22:20, 24:34), 20:24

კ: ლი (21+6 მოხსნა), ს. კიმი (14), ტ. კიმი (13), დ. კიმი (11).

დ: ჰორფორდი (30+12 მოხსნა+4 პასი), მარტინესი (16+25 მოხსნა), გარსია (13), კორნადო (11), ბაესი (11+5 მოხსნა).

სატურნირო მდგომარეობა: რუსეთი – 1 მოგება/0 წაგება, დომინიკის რესპუბლიკა - 1/0, ს. კორეა - 0/2.

D ჯგუფი

მაკედონია-ახ. ზელანდია 84:62

26:11, 18:20, 16:17, 24:14

მ: მაკალები (23+11 პასი), ანტიჩი (17+10 მოხსნა), გეჩევსკი (16).

ზ: პლეჯერი (11+11 მოხსნა).

სატურნირო მდგომარეობა: მაკედონია - 1 მოგება/1 წაგება, ანგოლა - 1/0, ახალი ზელანდია - 0/1.

ახალი ისტორია ოსკარისგან

ოსკარ პისტორიუსი

ცნობილი სამხრეთაფრიკელი მორბენალი-ამპუტანტი **ოსკარ პისტორიუსი** ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს და ის ლონდონის თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. პისტორიუსი, რომელმაც მუხლს ქვემოთ ფეხები ბავშვობაში დაკარგა, პირველი სპორტსმენი იქნება ოლიმპიადების ისტორიაში, ვინც ამპუტირებული კიდურებით გავა სტარტზე.

პისტორიუსმა, რომელიც მძლეოსნობაში სპეციალური პროთეზებით გამოდის, ვერ შეძლო პირად ჩათვლაში საკვალიფიკაციო ნორმატივის შესრულება. სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატზე მან 400 მეტრი 45,32 წამში გაირბინა, ნორმატივი კი ზუსტად 45 წამს შეადგენდა. თუმცა სამხრეთ აფრიკის მძლეოსნობის ფედერაციამ გადაწყვიტა, პისტორიუსი მაინც შეიყვანოს ოლიმპიურ გუნდში 4x400 მეტრზე ესტაფეტაში მონაწილეობის მისაღებად.

2011 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე პისტორიუსმა ვერცხლის მედალი მოიგო ესტაფეტაში. მან წინასწარ გარბენებში მიიღო მონაწილეობა, ფინალში კი ის მწვრთნელმა არ დააყენა ოთხეულში.

პისტორიუსი 2008 წელს, პეკინის ოლიმპიადაზეც აპირებდა გამოსვლას, მაგრამ ვერც მაშინ შეასრულა ნორმატივი. ოთხი წლის წინ სამხრეთ აფრიკის მძლეოსნობის ფედერაციამ უარი თქვა ესტაფეტაში ოსკარის გამოსვლაზე. ასევე წინააღმდეგი იყო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, რომელსაც მიაჩნდა, რომ პროთეზები პისტორიუსს კონკურენტებზე უპირატესობას აძლევდა.

ლონდონში სამასგზის დოპინგოსანი გაირბენს

ბრიტანელი სპრინტერი **დუეინ ჩემბერსი,** რომელმაც 2003 წელს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო დოპინგის გამოყენებისთვის და მოგვიანებით წიგნი დაწერა აკრძალული პრეპარატების მიღებაზე, 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოვა.

დუეინ ჩემბერსი

ადრე მოქმედებდა ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის კანონი, რომლის მიხედვითაც დოპინგში ერთხელ მხილებულ სპორტსმენს არ შეეძლო ბრიტანეთის სახელით ოლიმპიადაზე გამოსვლა. მაგრამ ეს წესი სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ გააუქმა.

34 წლის ჩემბერმსმა ივნისში მოიგო ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი. მან 100 მეტრი 10.25 წამში გაირბინა, რაც 0.07 წამით უარესი იყო ოლიმპიურ ნორმატივზე. თუმცა ერთი წლის განმავლობაში ჩემბერსმა არაერთხელ აჩვენა საჭირო შედეგი და სპრინტერების შერჩევისას ნაკრების ხელმძღვანელობამ ეს მომენტი გაითვალისწინა.

ლონდონის ოლიმპიადაზე, რომელიც 27 ივლისს დაიწყება, ჩემბერსი 100 მეტრზე სპრინტსა და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში გამოვა.

ბრიტანელმა სპრინტერმა 1999 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 მეტრ დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი მიიღო, სპრინტერულ ესტაფეტაში კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. 2000 წლის ოლიმპიადაზე ჩემბერსმა მოკლე სპრინტში მეოთხე ადგილი დაიკავა.

2003 წელს, დუეინ ჩემბერსმა ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო სტეროიდ ტეტრაჰიდროგესტრინონის გამოყენებისთვის. 2009 წელს გამოვიდა სპრინტერის წიგნი – "გარბენი ჩემ წინააღმდეგ: ჩემი ისტორია", რომელშიც სპორტსმენმა აღიარა, რომ დაახლოებით სამასჯერ გამოიყენა დოპინგი.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ცსკა (მ)-ტორპედო	1:1
ცსკა (ს)-ვოლგა	1:2
ლივინგსტონი-კონკორდია	0:2
ოლბორგი-ვეილე	3:2
სიგმა-ნიტრა	0:1
კრალოვე-იაგლონეცი	1:1
ლანსი-ნორდსილანდი	2:0
ტრენჩინი-ულინი	2:1
ბაზელი-არაუ	2:1
დინამო (ბ)-ბოლესლავი	0:1
გრიუნ ვაისი-ლაიპციგი	1:6
ჰერტა-ფიდტიულანდი	2:1
სტიაუა-ზალცგურგი	2:3
ტრნავა-დუბნიცა	4:1
ვისლა-აელ	0:0
დენ ბოში-ჰეგერლე	1:2
ჰანზა-ლუნგბიუ	5:0
ლორიანი-ვანი	2:1
რაპიდი-დანდი იუნ	3:0
იანგ ბოიზი-შახტარი	3:4
ტუბეკე-შარლერუა	1:2
მარიბორი-ლოკომოტივი	1:1
ბრორა-როსი	1:3

ნორვეგიის თასი

ბოდო გლიმტი-ლილესტრიომი	4:0
ოდ გრენლანდი-ჰაუგესუნდი	0:2
სტარტი-ტრონდჰეიმ	1:1 პენ. 1:4
სტრიომსგოდსეტი-ვიონდალენი	4:1
ვიკინგი-ბრანი	2:2 დ.დ. 2:3

უინეუთი

II დივიზიონი

ჰიფკ-ჰამეენლინა	0:2
კოტეპე-როვანიემი	0:3
ოპს-ოულუ	1:1
პკ35-სეინაიოენი	2:0
ვიიკინგიტი-იიპო	1:0

პარაგვეი

პრეზიდენტე-ტაკუარი	2:1
ინდეპენდიენტე-ლიბერტადი	1:4
რუბიო ნუ-ნასიონალი	3:3
სერო პორტენიო-სოლ დე ამერიკა	2:0
ლუკენიო-ოლიმპია	2:1

პერუ

რეალ გარსილასო-სპ. კრისტალი	3:0
მელგარი-სპორტი	1:0
ლეონი-ხოსე გალვესი	0:0
უ. კომერსიო-ალ. ლიმა	0:0

ქალთბურთი

ოლიმპიადა

საკვალიფიკაციო

ახ. ზელანდია-ანგოლა	68:64
დომინიკის რ.-რუსეთი	69:84

● TV პროგრამა

5 ივლისი. ხუთშაბათი

I არხი

21:00 ევროპა ლიგა. ტორპედო-აქტობე (ყაზახეთი) Live

GMG-ფეხბურთი

10:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მონპელიე.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-ინტერი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ვიტესი.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედ-სტოკი.
22:00 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. იუვენტუსი.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე.

GMG-სპორტი 1

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. IX დღე. ლონდონი. ინგლისი.
14:45 სპორტ-NEWS.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მანჩესტერ სიტი.
17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ედინბურგი-ტულუზა.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ბერლინი-კიელი. კიოლნი. გერმანია.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-მილანი.
23:00 კალათბურთი. VTB-ის ლიგა. მე-3 ადგილისთვის. ლიეტუვას რიტასი-ლოკომოტივი.
00:50 NBA ACTION.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/4 ფინალი. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
15:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/2 ფინალი. ქალები. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

ამინდის პროგნოზი

თბილისი	16	26	(მცირე წვიმა)
ქუთაისი	16	25	(მცირე წვიმა)
ბათუმი	14	22	(მცირე წვიმა)
ფოთი	15	23	(მცირე წვიმა)
ზუგდიდი	14	26	(მცირე წვიმა)
გორი	15	25	(მცირე წვიმა)
თელავი	14	24	(მცირე წვიმა)
სიღნაღი	13	24	(მცირე წვიმა)
ძეგულეთი	13	20	(მცირე წვიმა)
ბაკურიანი	4	19	(მცირე წვიმა)
ბორჯომი	10	23	(მცირე წვიმა)
მესტია	10	23	(მცირე წვიმა)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.0696
1 ამერიკული დოლარი	1.6449
1 ბრიტანული ფუნტი	2.5787
100 რუსული რუბლი	5.0645

● დოპინგი

ნიგერიამ ამოისუნთქა

ნიგერიის მძლეოსნობის ფედერაცია იტყობინება, რომ დაკავებულია პიროვნება, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალული პრეპარატების მთავარი გამავრცელებელი იყო. დაკავებულის წინააღმდეგ ბევრმა დისკვალიფიცირებულმა ნიგერიელმა სპორტსმენმა მისცა ჩვენება.

ეჭვმიტანილი ატყუებდა სპორტსმენებს, რომ მათ ვიტამინებით ამარაგებდა და არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდათ დოპინგ-ტესტების დროს. დაკავება მოხდა სტადიონის ერთ-ერთ ოფისში, სადაც ეროვნული შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობდა. აკრძალული პრეპარატების გამავრცელებულს მრავალი წლის განმავლობაში ეძებდნენ.

"ეს ადამიანი მორჩენებასავით იყო. როგორც კი გამოვიჭერდით, მაშინვე ქრებოდა. თითქმის ყველა სტარტს ესწრებოდა, მაგრამ ახლა მას არ გაუმართლა. საერთაშორისო ფედერაცია ბედნიერი იქნება, როცა ამ ამბავს შეიტყობს", - განაცხადა ნიგერიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **სოლომონ ოგბამ.**

"ის, რაც მის ჩანთაში დავინახე, არარეალური იყო. ვიპოვე აკრძალული პრეპარატები, რაც აქამდე არასოდეს მენახა, ზოგიერთზე კი მხოლოდ წიგნებში ან ინტერნეტში მქონდა წაკითხული", - ამბობს ნიგერიის ნაკრების ექიმი.

პოლიციამ დაკავებულს ჩამოართვა კომპიუტერი, რომელშიც თავისი კლიენტების მისამართებს ინახავდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

ჰორნერი და ფეტელი

რედ ბული აღასტურებს: ფეტელი რჩება

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** არ მოლაპარაკებია "ფერარის" და უახლოეს წლებში ის "რედ ბულის" რიგებში დარჩება, - განაცხადა გუშინ ავსტრიული საჯინიბოს შეფმა **კრისტიან ჰორნერმა**.

"სებასტიანს უკვე ველაპარაკე ამის შესახებ და მან ერთმნიშვნელოვნად მითხრა, რომ არანაირ მოლაპარაკებას არ აწარმოებდა და არც ხელი მოუწერია "ფერარისთან" წინასწარ ხელშეკრულებაზე. მაგრამ ჭორები მაინც ვრცელდება..." – ამბობს ჰორნერი სააგენტო "როიტერთან" კომენტარში.

ჭორების მორიგი ტალღა ფეტელის "სკუდერიაში" გადასვლასთან დაკავშირებით მას შემდეგ აგორდა, რაც იტალიური საჯინიბოს ხელმძღვანელმა **სტეფანო დომენიკალიმ** გამოაცხადა, რომ სებასტიანი და **ფერნანდო ალონსო** იოლად შეეწყობოდნენ ერთმანეთს.

"ჩემი აზრით, მთელი ჩვენი გუნდი აპირებს "ფერარიში" გადასვლას, - ირონიულად ამბობს ჰორნერი. – *წელს იმავეს ამბობდნენ ედრიან ნიიზე, მარკ უებერზე, სებასტიანზე და მე მგონი, ჩემზეც.*

სებასტიანი ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს, ჩვენც გვიადვილდება მასთან მუშაობა. ის უკვე 12 წელია თანამშრომლობს „რედ ბულთან" და ვფიქრობ, უახლოეს წლებში ჩვენთან დარჩება. არ ვღელავ იმის გამო, სად იქნება ფეტელი 2013, 2104 ან შემდგომ წლებში.

არ მგონია, რომ ის აუცილებლად უნდა გადავიდეს "ფერარიში". სებასტიანი კმაყოფილია თავისი დღევანდელი მდგომარეობით, შესანიშნავ შედეგებს აჩვენებს და მეტის მიღწევისთვის ზრუნავს".

ასევე ჰორნერმა მიანიშნა ყველას, რომ **მარკ უებერი**, რომლის კონტრაქტი წლის ბოლოს იწურება, შეიძლება "რედ ბულში" კიდევ ერთი სეზონი დარჩეს: *"მარკი შესანიშნავად მუშაობს. წელს ის ძალიან მაღალ სტაბილურობას აჩვენებს. რბოლებიც კვლავინდებურად სიამოვნებას ანიჭებს და ჩემი აზრით, "რედ ბულს" პილოტების ძალიან ძლიერი წყვილი ჰყავს.*

მათ პილოტირების ერთნაირი მანერა აქვთ და მნიშვნელოვანია, რომ გუნდში მუშაობს ორი მრბოლელი, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. დარწმუნებული ვარ, უახლოეს დღეებში მარკთან ერთად დავსხდებით და მომავალს განვიხილავთ".

პოლ დი რესტა

შუმის შემცვლელი უპოვეს

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **მიხაელ შუმახერის** მომავალი ბედი ზაფხულის ბოლოს გახდება ცნობილი. იმ შემთხვევაში, თუ ლეგენდარული გერმანელი კარიერის დასრულების გადაწყვეტილებას მიიღებს, სავარაუდოდ, "მერსედესში" მას "ფორს ინდიას" 26 წლის ბრიტანელი **პოლ დი რესტა** შეცვლის.

ინდური საჯინიბოს წარმომადგენელმა **ბობ ფერნლიმ** ეს ინფორმაცია არ დაადასტურა, მაგრამ განაცხადა, რომ მზად არის პილოტი უფრო ძლიერ საჯინიბოში გაუშვას.

"ჩვენ ვიცით, რომ არ ვართ ის გუნდი, რომელიც ჩემპიონობაზე არ აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ ამასთან, ჩვენ გვყავს ორი შესანიშნავი პილოტი პოლ დი რესტასა და ნიკო ჰიულკენბერგის სახით. თუ რომელიმე მათგანი ტოპ-ოთხეულიდან მიიღებს წინადადებას, ჩვენ მათი კარიერის წინსვლას არ გადაველობებით", - განაცხადა ფერნლიმ.

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2012

პირველად უიმბლდონზე: როჯერი vs ნოვაკი

გუშინ უიმბლდონზე მამაკაცების მეოთხედფინალების დღე იყო და ოთხივე წყვილში ფავორიტმა გაიმარჯვა.

როჯერ ფედერერი და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** 26-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ პარასკევს უიმბლდონზე მათი პირველი დუელი შედგება. ფედერერმა ცენტრალურ კორტზე 6:1, 6:2, 6:2 გაანადგურა **მიხაილ იუჟნი**, ერთი წუთის შემდეგ კი ჯოკოვიჩმა პირველ კორტზე **ფლორიან მაიერთან** გამარჯვება იზეიმა – 6:4, 6:1, 6:4.

ფედერერი 14:12-ს უგებს ჯოკოვიჩს. ამ 26 შეხვედრიდან ბალახზე არასოდეს უთამაშიათ. ბოლო ორ წელიწადში "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალებში ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ნოვაკმა ოთხი მატჩი მოიგო.

ფედერერის მატჩმა იუჟნისთან დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაშის სანახავად მისულნი იყვნენ პრინცი **უილიამსი** და მისი მეუღლე **ქეითი, ანდრე აგასი, შტეფი გრაფი, როდ ლეივერი...**

ალბათ, ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ფედერერი იოლად გაივლიდა იუჟნის ბარიერს. როჯერს სწორედ ამ რუსთან აქვს ურთიერთშეხვედრების საუკეთესო ბალანსი: ისინი მეთოთხმეტედ შეხვდნენ ერთმანეთს და მიხაილს არც ერთი მატჩი არ აქვს მოგებული. თუმცა შეხვედრის მოგებას ვინ ჩივის, 35 გათამაშებულ სეტში იუჟნიმ მხოლოდ სამი პარტია დაასრულა თავის სასარგებლოდ.

საკუთარი თავის არც რუს ჩოგბურთელს სჯეროდა და ხუმრობის ხასიათზე იყო. მესამე სეტის დროს, მორიგი ქულის წაგების შემდეგ, იუჟნიმ სამეფო ლოჟისკენ გაიხედა და აგასის დახმარება სთხოვა. ლეგენდარულმა ამერიკელმა ღიმილით უპასუხა მას.

მოკლედ, ფედერერი თითქმის უბრძოლველად გავიდა ნახევარფინალში, სხვათა შორის, პირველად 2009 წლის შემდეგ, როცა მეექვსედ მოიგო უიმბლდონი. ახლა ის ნაადრევ ფინალად მონათლულ ნახევარფინალში ჯოკოვიჩს შეხვდება. თუ როჯერი შეძლებს ტიტულის მოგებას, ის ორშაბათიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება და გაიმეორებს **პიტ სამპრასის** რეკორდს რეიტინგის სათავეში გატარებული კვირების რაოდენობით. გარდა ამისა, ფედერერმა უკვე გააუმჯობესა მეორე ამერიკელი ლეგენდის **ჯიმი კონორსის** რეკორდი "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლების რაოდენობით. როჯერმა ეს კარიერაში 32-ედ გააკეთა.

ოდნავ მეტი მონდომება და შრომა დასჭირდა ნოვაკ ჯოკოვიჩს ფლორიან მაიერის დასამარცხებლად. თუმცა გერმანელის მიერ პირველ სეტში გაკეთებულ ბრეიკს სერბმა ორით უპასუხა და დარჩენილ დროში მის უპირატესობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ჯოკოვიჩმა, რომელმაც ჯამში ხუთი ბრეიკი გააკეთა, ძალიან აქტიურად ითამაშა და 50 "ვინერსით" დაასრულა შეხვედრა, იმ დროს, როცა მაიერს საკუთარი აქტიურობით მოგებული მხოლოდ 14 ქულა ჰქონდა. ჯოკოვიჩი ზედიზედ მეცხრედ გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში.



ფედერერი გუშინდელ შეხვედრაში

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალური წყვილი შეადგინეს **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** და **ენდი მიურეიმ**. ფრანგმა ისევ ვერ შეძლო სამ სეტში გამარჯვება – მეორე პარტია დაუთმო **ფილიპ კოლშრაიბერს**, რომელიც პირველად თამამობდა "დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში. მაგრამ ცონგამ გადამწყვეტ მომენტებში ითამაშა კარგად – ორჯერ მოიგო ტაი-ბრეიკი, მეოთხე პარტიაში კი ორი ბრეიკი გააკეთა და ზედიზედ მეორედ გავიდა უიმბლდონის ნახევარფინალში.

ყველაზე რთულად საქმე მიურეის ჰქონდა, რომელსაც თითქმის ოთხი საათი დასჭირდა **დავიდ ფერერის** დასამარცხებლად, თანაც ენდი თავიდან მდევრის როლში იყო, რადგან პირველი სეტის ტაი-ბრეიკი დაუთმო ესპანელს.

ფერერს შეეძლო ამ მატჩში წარმატებაზე ეფიქრა, მნიშვნელოვან მომენტებში უფრო ზუსტად რომ ეთამაშა. მას 12 ბრეიკ-პოინტი დაუგროვდა, მაგრამ მხოლოდ ორი შანსი გამოიყენა, იმ დროს, როცა მიურეის ბრეიკ-პოინტების რეალიზების უფრო მაღალი პროცენტი ჰქონდა – ცხრიდან სამი. ორივე ჩოგბურთელი ძალიან აქტიურობდა ("ვინერსები" – 61:44 მიურეის სასარგებლოდ), მაგრამ ბევრ შეცდომასაც (უნებლიე – 39:31) უშვებდა. საბოლოოდ, ენდიმ შეძლო მცირე სათამაშო უპირატესობის რეალიზება და ადგილობრივი პუბლიკის გასახარად ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

1/4 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ფლორიან მაიერი (გერ, 31) 6:4, 6:1, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 26) 6:1, 6:2, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-დავიდ ფერერი (ესპ, 7) 6:7(5), 7:6(6), 6:4, 7:6(4); **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 5)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27) 7:6(5), 4:6, 7:6(3), 6:2.

1/2 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-ფედერერი (3); მიურეი (4)-ცონგა (5).

ავტოსპორტი

გადარჩა, მაგრამ თვალი დაკარგა

მარია დე ვილიოტა

რუსული საჯინიბოს "მარუსიას" ტესტპილოტი **მარია დე ვილიოტა**, რომელიც აეროდინამიკური ტესტების დროს ავარიაში მოხვდა და სერიოზული ტრავმები მიიღო, გონზეა და დამატებით სამედიცინო შემოწმებას გადის. რუსულმა გუნდმა სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც წერია, რომ პილოტის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

"მას შემდეგ, რაც მარია საავადმყოფოში მიიყვანეს, ის საუკეთესო სამედიცინო მომსახურებას იღებს. მისი ტრავმების ხასიათზე მხოლოდ გამოკვლევის შედეგების შემდეგ ვილაპარაკებთ. ამ მომენტისთვის მარია და მისი ოჯახი - მთავარი პრიორიტეტია ჩვენი გუნდისთვის", - წერია განცხადებაში.

გუშინ, გვიან გახდა ცნობილი მიღებული ტრავმებით გამოწვეული ერთი სავალალო შედეგის შესახებ – მარია დე ვილიოტამ მარჯვენა თვალი დაკარგა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ISSN 2233-3827

9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი*

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით დაბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**